# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 3 აპრილი 2008 №074 (3298) ფასი 50 თეთრი




## გოგშელიძემ ევროპა მოიყოჩაღა

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა კარგად დაწყებული საქმე კარგად გააგრძელეს და ფინეთში, ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს. გიორგი გოგშელიძემ (96 კგ) ოთხივე ორთაბრძოლა შესაშური შემართებით ჩაატარა და მეტოქეებს ოდენ ორი ქულა დაუთმო. ნახევარფინალში მისთვის უხერხული მოწინაალმდეგე, რუსი გაცალოვი 1:0, 4:2 დაამარცხა, ფინალში უკრაინის სახელით მოასპარეზე გიორგი ტივილოვს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა, 2:0, 1:0 დაჩაგრა და ევროპის ჩემპიონობასთან ერთად ოლიმპიადის ლიცენზიაც მიიღო.

*გაგრძელება მე-15 გვერდზე*

# ის 28 არეული თვე

## რა მოუთხრო ტოპმიოლერმა გერმანელებს

## ლევან კობიაშვილი: მწვრთნელი გუნდს ვერ შეეწყო







## ხვალინდელ „სარბიელში“

– კახა კალაძე არა მხოლოდ იტალიაში, ევროპაშიც ერთ-ერთი საუკეთესო მცველია.

– იტალიაში კიდევ ერთი ქართველია, სამწუხაროდ, გვარი არ ვიცი, შოტლანდიას რომ გოლი გაუტანა, იმ ფეხბურთელზე ვამბობ.

– ვიცი, რომ ილია სპასოევიჩი თამაშობს საქართველოში. ის ძალიან კარგი ადამიანია და რა ხანია, ვმეგობრობთ.

– შესარჩევ ჯგუფში ჩერნოგორიას და საქართველოს წარმატების თანაბარი შანსები აქვთ.

*კობა ინასარიძის ინტერვიუ მირკო ვუჩინიჩთან*

# საქართველო განსაკუთრებულია!

## კლაუს ტოპმიოლერი ფედერაციას მწვრთნელის მოძებნაშიც დაეხმარება



„28 არეული თვის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებს დაშორდა" — ასე წერს ცნობილი გერმანული ვებგვერდი **www.sport1.de** და ქართველთა აწ უკვე ყოფილ თავკაცთან ვრცელ ინტერვიუს აქვეყნებს. ინტერვიუში ბევრს საინტერესოს, გულთან მისატანს და სასიამოვნოსაც ამოიკითხავთ...

— რატომ წამოხვედით საქართველოდან?

— 2007 წლის ოქტომბრის შემდეგ თანხას ვერ ვიღებდი — ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა. ფიფასაც ვაცნობე ამის თაობაზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კი იმდენჯერ შევახსენე, აღარც მახსოვს. საქართველოს სპორტის მინისტრმა მითხრა, ყველაფერი დარეგულირდებაო, თუმცა...

— ნაწყენი დაშორდით ქართულ მხარეს?

— არა, არა... მეგობრულად დავშორდით და მინდა, მეგობრებადვე დავრჩეთ. მე ვერ მივაღწიე მიზანს, საქართველოს ნაკრები უძლიერეს შესარჩევ ჯგუფში იყო — საფრანგეთი, იტალია და მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ნათამაშევი უკრაინა შეგვხვდნენ...

— რა გარეშე პრობლემები გხვდებოდათ იქ მუშაობაში?

— ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ ფეხბურთელები ძნელად ჩამოდიან მატჩებზე. აი, სულ ახლახან ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩის წინ ათი კაცი დაგვაკლდა, კიდევ ორნი სასტუმროში გახდნენ ავად, სამმა სულაც ვიზა ვერ აიღო და ბელფასტში ვერ ჩამოვიდა...

— ასეთ სიტუაციაში მუშაობა მართლაც ძნელია...

— და ეს გაგრძელდებოდა ორი წელიწადი. ფეხბურთელთა ამხელა დანაკლისი კიდევ უფრო დიდი დარტყმაა იმ ქვეყნისთვის, რომელიც ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე არასოდეს გასულა. ამ პრობლემების შემხედვარე, ფედერაციის ხელმძღვანელებს ვუთხარი, ნება მიბოძეთ, უნდა დაგშორდეთ...

— და რა იყო დადებითი თქვენს მუშაობაში?

— ახალგაზრდა ასაკის ბევრი ფეხბურთელი დაწინაურდა ეროვნულ ნაკრებში. ადრე ფეხბურთელებს ისე იძახებდნენ, ვინ როგორ ფორმაში იყო, არ იცოდნენ. ჩვენ შევქმენით 15-წლამდელთა ნაკრები, აქტიურად ვიყავი ჩართული სხვა ასაკობრივი გუნდების გაწვრთნაში და ეს მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი მხოლოდ ეროვნულ ნაკრებში მუშაობას ითვალისწინებდა.

— 28 თვის შემდეგ რა შთაბეჭდილებებით წამოხვედით საქართველოდან?

— ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ საქართველო განსაკუთრებულია! იქაურობა შესანიშნავია და მწყინს კიდეც, რომ წამოსვლა მომიხდა. საქართველოში ყველა მცნობდა, ძალიან პოპულარული ვიყავი, თანაც ეს იყო ჩემი პირველი ნაკრები სამწვრთნელო კარიერაში და ეს უზომო სიამოვნებას მანიჭებდა.

— გამორიცხავთ ნაკრებში კვლავ მუშაობას?

— ჩვენ მეგობრებად დავშორდით, თუმცა მზად ვარ, ქართულ მხარეს სიტყვითაც და საქმითაც მივეხმარო. ფედერაციის პრეზიდენტმა მთხოვა, ახალი მწვრთნელის მოძებნაში დავხმარებოდი. საერთოდ კი, ახლა დიდ პაუზას ვიღებ, დასვენება მსურს.

— შარშან ცოტა ხანს „კაიზერსლაუტერნში" სპორტულ დირექტორადაც იმუშავეთ. ხომ არ დაუბრუნდებით კლუბს, რომელიც თქვენთვის ძალიან ძვირფასია?

— მე უხელფასოდ ვეხმარებოდი „კაიზერსლაუტერნს", უფრო სწორად, მინდოდა, დავხმარებოდი. მინდოდა, ზაფხულამდე დამერეგულირებინა კლუბში არსებული გაუგებარი სიტუაცია. სამი ფეხბურთელი ვურჩიე კლუბს, მხოლოდ კონტრაქტის გაფორმებაღა აკლდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „კაიზერსლაუტერნს" თანხა არ ჰქონია... ეგრევე წამოვედი კლუბიდან, რადგან ჩემი გასულელების უფლებას არავის მივცემდი.

— და მაინც, „კაიზერსლაუტერნში" იმუშავებთ?

— გამორიცხულია! თუმც ამ გუნდის კარგი ყოველთვის გამიხარდება და ცუდი მეწყინება. ძალიან მინდა, „კაიზერსლაუტერნმა" მეორე ბუნდესლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

**ილია ნანობაშვილი**

სამშაბათს ლევან კობიაშვილსა და „შალკეს" მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდათ — ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ შეხვედრაში გელზენკირხენელებმა „ბარსელონას" უმასპინძლეს და 0:1 დამარცხდნენ. ვინც თამაში ნახა, დაგვეთანხმება, რომ „ხუმარებს" შეეძლოთ, წაგებას გაქცეოდნენ — რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და საპასუხო მატჩის წინ მდგომარეობა გაირთულეს. კობიაშვილმა კატალონიელების წინააღმდეგ სრულად ითამაშა, ჩვენ კი მას გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ და „ბარსელონასთან" მატჩის გარდა, სანაკრებო თემაზეც ვესაუბრეთ...



# ტოპმიოლერის წასვლა ორმხრივად მისაღებია

## ლევან კობიაშვილი: ახალი მწვრთნელი სასწრაფოდ გვინდა

— როგორ შეაფასებდი „ბარსელონასთან" თამაშს?

— შეიძლება ითქვას, ორი განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ. პირველში ძალიან პასიურად გამოვიყურებოდით, განსაკუთრებით დაცვაში და მეტოქეს ბევრის საშუალებას ვაძლევდით. მეორეში უკეთ ვითამაშეთ, რამდენჯერმე შეგვეძლო ანგარიშის გათანაბრება. ვფიქრობ, ერთ გოლს მაინც ვიმსახურებდით. „ბარსელონა" ძლიერი გუნდია — მომენტი შექმნა და გამოიყენა. ეს არის მათი უპირატესობა. ჩვენ კი გოლის გასატანად ის რაოდენობაც არ გვეყო, რაც შევქმენით. უფრო მეტია საჭირო, რაც თანამედროვე ფეხბურთში ძალიან რთულია.

— შინ წაგებამ შანსი კიდევ უფრო შეგიმცირათ...

— შანსი თავიდანვე მეტოქეს უფრო მეტი ჰქონდა — „ბარსელონა" არა მარტო ამ წყვილის, არამედ ჩემპიონთა ლიგის ფავორიტად ითვლება. შინ წაგების შემდეგ კი ჩვენი შანსი სულაც მინიმუმამდე დავიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საპასუხო მატჩში არ ვითამაშებთ — პირიქით, ვეცდებით, ის შეცდომები აღარ გავიმეოროთ, როგორმე გოლის გატანა მოვახერხოთ და დაცვაშიც კარგად ვითამაშოთ. ამის თქმის საფუძველს მეორე ტაიმში ნაჩვენები თამაში მაძლევს.

— სხვაც ვთქვათ: საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. როგორია ეროვნული გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის აზრი კლაუს ტოპმიოლერის გათავისუფლების თაობაზე?

— ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის მისაღები იყო. ნაკრების შედეგები, თამაშის საშუალოზე დაბალი ხარისხი არავის აკმაყოფილებდა, დაწყებული გულშემატკივრით და ფეხბურთელით დამთავრებული. საქართველოს ნაკრებს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ ისეთი დონის გუნდებთან, როგორიც ლიტვა, ლატვია და ჩრდილოეთ ირლანდიაა, უშანსოდ არ წააგოს. ერთხელ შეიძლება მოხდეს, მაგრამ უკვე სისტემატური ხასიათი მიეცა.

— თავიდან კლაუს ტოპმიოლერის საქართველოში ჩამოყვანას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა — ასეთი მაღალკვალიფიციური და კარგი შედეგების მქონე მწვრთნელი საქართველოს ნაკრებს მანამდე არ ჰყოლია. რით განსხვავდებოდა ტოპმიოლერი სხვა მწვრთნელებისგან, რა დადებითი თვისებები ჰქონდა და იყო თუ არა მისი ჩამოყვანა სწორი ნაბიჯი?

— იმის თქმა, რომ ტოპმიოლერი დაბალი დონის მწვრთნელია და მისი ჩამოყვანა შეცდომა იყო, არ იქნება მართალი. ტოპმიოლერს საკლუბო დონეზე წარმატებები ჰქონდა და კვალიფიციური მწვრთნელიც არის, მაგრამ ხშირად ხდება ისე, რომ მწვრთნელი გუნდს ვერ ეწყობა. თანაც საკლუბო და სანაკრებო დონე განსხვავდება — კარგი მწვრთნელი, შესაძლოა, ორივეგან წარმატებული ვერ იყოს. გულდასაწყვეტია, რომ ჩვენს შემთხვევაში ასე მოხდა და ურთიერთშეწყობა ასპროცენტიანი არ იყო.

— ურთიერთშეწყობაში გამოცდილი ფეხბურთელების იგნორირებას გულისხმობ?

— მწვრთნელმა უნდა გამოიყენოს ის რესურსი, რაც მას გააჩნია. შესაძლოა, კონკრეტული მატჩისთვის უახლოესი რეზერვი შეამოწმო, რაც ნაკრებს სამომავლოდ გამოადგება, რადგან ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ძირითადი შემადგენლობის უმრავლესობას ტრავმების გამო გამოუტოვებია თამაშები, თუმცა ყველა რესურსის გამოუყენებლობასაც არანაკლებ ხშირად ჰქონდა ადგილი.

— ახალ შესარჩევ ეტაპამდე ბევრი არ დარჩა. ამ ეტაპზე მწვრთნელის შეცვლა რამდენად იმოქმედებს გუნდზე?

— მწვრთნელის შეცვლა ყოველთვის მოქმედებს, თუმცა ბოლო თამაშების შემდეგ, ვფიქრობ, გუნდში ისედაც არ იყო ფსიქოლოგიურად კარგად საქმე. ახლა გადაწყვეტილება სასწრაფოდ არის მისაღები. პირდაპირ შესარჩევი ეტაპის წინ მწვრთნელის დანიშვნა სახარბიელო არ იქნება არც მისთვის და არც ფეხბურთელებისთვის. სექტემბრამდე სამი ამხანაგური მატჩია დაგეგმილი, როგორც ვიცი, მაისის ბოლოს გერმანიაში შეკრებაც უნდა ჩატარდეს. მართალია, ძნელი იქნება ასეთ მოკლე დროში რამე ტაქტიკური მონახაზების დამუშავება და ბირთვის ჩამოყალიბება, მაგრამ გუნდის გასაცნობად საკმარისი დროა. იმედია, ყველაფერი მალე მოგვარდება და შესარჩევ ეტაპს მომზადებულები შევხვდებით.

— შესარჩევ ეტაპზე წარმატების რამე შანსს ხედავ?

— ნაკრებს გარკვეული პოტენციალი აქვს, მთავარია, მისი სწორად გამოყენება. როგორ მოახერხებს ამას ახალი მწვრთნელი, საქმეც ეს არის. ჯგუფი თითქოს იოლი ჩანს, მაგრამ მთლიანობაში, იტალიის გარდა, თანაბარი დონის გუნდებია. შანსი ყველას აქვს, მთავარია, ვინ როგორ გამოიყენებს. ყველაფერი მწვრთნელზე იქნება დამოკიდებული — მან უნდა მოახერხოს და ნაკრები გამოიყვანოს იმ ფსიქოლოგიური სტრესიდან, რომელშიც ახლა იმყოფება. განსაკუთრებით, ის ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც ახლახან გამოჩნდნენ გუნდში და უკვე წაგებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდათ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველოში ფულის გამო არ ჩამოვსულვარ!

## პეტარ სეგრტი: მინდა, აქ დავრჩე

გუშინწინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტური გახადა — გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. წავიდა ტოპმიოლერი და მას რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერიც მიჰყვნენ. ახლა საინტერესოა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ პეტარ სეგრტის ბედი — ხორვატი ხომ სწორედ ტოპმიოლერის რეკომენდაციით ჩამოვიდა საქართველოში. გუშინ სეგრტს ფეხბურთის ფედერაციაში ვესტუმრეთ და საუბარი, ცხადია, ტოპმიოლერით დავიწყეთ...



# საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა საქართველოში უნდა იცხოვროს!

— რა თქმა უნდა, დამწუხრებული ვარ. ცუდია, რომ კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარ არის, მაგრამ მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პროფესიონალია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა და კლაუსმა რამდენიმედღიანი მოლაპარაკების შემდეგ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება და ეს ნაბიჯი ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ გადაიდგა.

— ტოპმიოლერი წავიდა და ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენც დატოვებთ საქართველოს?

— ტოპმიოლერის და მინგეს მადლობელი ვარ. უკვე თხუთმეტი წელიწადია, ამ ხალხთან ვმეგობრობ და მთელი ცხოვრება ასე ვიქნებით. მათი რეკომენდაციით კი ჩამოვედი საქართველოში, მაგრამ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს უფრო ჩემი შრომით გავაცანი თავი და შევუქმენი გარკვეული შთაბეჭდილება. საქართველოში დიდ პოტენციალს ვხედავ და მინდა, აქ დავრჩე და სწორედ ქართულ ფეხბურთში ვიმუშაო.

— კლაუს ტოპმიოლერმა, კუთვნილი ხელფასი არ მოუციათო და სასამართლოში ჩივილით დაიმუქრა. თქვენი დავალიანებაც ხომ არ აქვს ფეხბურთის ფედერაციას?

— მინდა, ყველამ იცოდეს, რომ საქართველოში ფულის საშოვნელად არ ჩამოვსულვარ! ქართული ფეხბურთის დიდი პოტენციალს ვხედავ და აქ ამიტომაც ვრჩები. ქართული ფეხბურთის წყალობით მინდა, მსოფლიოში სახელი გავითქვა — აქ ვცხოვრობ, საქართველო მიყვარს, ვხედავ, როგორი რთული მდგომარეობაა დღეს ამ ქვეყანაში და მე ამას თქვენთან ერთად ვიზიარებ. საქართველო ჩემს გულშია!

— ახლა საქართველოს ნაკრები უთავკაცოდაა და თქვენი აზრით, ისევ უცხოელი უნდა მოვიდეს თუ ქართველ მწვრთნელს უნდა ჩააბარონ ნაკრები?

— ისეთი უნდა მოვიდეს მწვრთნელად, რომ ქართველ ხალხს უნდა იცნობდეს და ქართულ ფეხბურთში გათვიცნობიერებული იყოს. მხოლოდ ლეგიონერებზე კი არა, შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებზეც უნდა ჰქონდეს წარმოდგენა. უცხოელი თუ იქნება, მან საქართველოში უნდა იცხოვროს, აქ შეიტყობს, რა ღირებულებებით ცხოვრობს ქართველი ხალხი.

— და თქვენ რომ შემოგთავაზონ ნაკრების გაძღოლა?

— ჩემი პერსონა არ არის მთავარი, მთავარი საქართველოა! 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ და ასაკობრივ ნაკრებთა მომზადებაშიც ვმონაწილეობ. მთავარი გადაწყვეტილება კი ფეხბურთის ფედერაციამ უნდა მიიღოს — რასაც ის გადაწყვეტს, ისე იქნება.

— საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლო სამი შეხვედრა შთამბეჭდავად ჩაატარა — ქართველი გულშემატკივარი თამაშის ხარისხითაც და შედეგითაც კმაყოფილია...

— ძალიან მიხარია, რომ წარმატებით გამოვდივართ. უკვე სამ შეხვედრაში გოლი არ გაგვიშვია, გატანით კი ბლომად გავიტანეთ. ვხედავ, რომ ჩემი სათქმელი უფრო და უფრო იოლად მიმაქვს ფეხბურთელებთან. თავიდან იყო პრობლემები, თუმცა მათ უკვე კარგად ესმით ჩემი, რაც შედეგზეც აისახა. ვეუბნები, რომ გამოვიყენოთ ქართული სტილი და არ დავკარგოთ, შევუხამოთ გერმანულ და ხორვატულ სტილს. ქართული შეტევა, გერმანულ-ხორვატული კომპაქტურობა და სათამაშო დისციპლინა, ეს ფანტასტიკური ფეხბურთი იქნება!

— თქვენ ბოლო ხანებში პირველ ლიგის გუნდებში დაიწყეთ ერთჯერადი ვარჯიშების ჩატარება. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება?

— რა თქმა უნდა. ამ კვირაშიც უნდა წავსულიყავით დასავლეთში, თუმცა შექმნილმა ვითარებამ შეგვაფერხა. მომავალ კვირაში ჭიათურაში ჩავალ — „მაღაროელს“ ვავარჯიშებ წვრთნას. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან მინდოდა ამის დაწყება, ეს ჩემი იდეა იყო და ახლა მთელი საქართველო უნდა მოვიარო და ყველა კლუბი გავიცნო.

— ქართული ფეხბურთის უმთავრეს პრობლემად რას მიიჩნევთ?

— მინდვრების არქონას. ლატვიასთან მატჩის წინ „ამერის“ ხელმძღვანელებმა მოგვცეს საშუალება, მათ სტადიონზე გვევარჯიშა და ეს რამდენიმედღიანი ვარჯიში თამაშს ხარისხზეც აისახა. მინდა, მადლობა გადავუხადო ამერელებს! ქართველი ფეხბურთელები კარგ მინდორზე ნებისმიერ მეტოქეს დაამარცხებენ.

**ნუკრი ლოლაძე**



# ხიზანიშვილმა მარტი მოიგო

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და ინგლისური „ბლექბერნის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი კლუბის გულშემატკივრებმა მარტის თვის საუკეთესო მცველად დაასახელეს.

გამოკითხვა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარდა და ხიზანიშვილმა გულშემატკივართა ხმების 41 პროცენტი დააგროვა და 16 პროცენტით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ სტივენ უორნოკს.

გამოკითხვა ყველა პოზიციაზე მიმდინარეობს და მისი დასრულების შემდეგ გულშემატკივრები უკვე თვის საუკეთესო ფეხბურთელს დაასახელებენ, სადაც ხიზანიშვილსაც აქვს შანსი, გახდეს მათი თვის რჩეული.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პროფლიგამ დილა დასაჯა

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომისიამ გორის „დილასა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ მატჩის (1:1) ბოლოს მომხდარი ამბები განიხილა.

მატჩის მსაჯების — ლევან კვარაცხელიას, დავით ხარიტონაშვილის, ბესიკ ჭიჭინაძის და დამკვირვებლის, მერაბ მალაღურაძის მოხსენებითი ბარათების შესწავლისა და მათი განცხადებების საფუძველზე, კომისიამ ეს დაადგინა: „დილას“ ფეხბურთელები — **ალბერტ საყვარელიძე**, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა თანამსაჯ ბესიკ ჭიჭინაძეს, დისკვალიფიცირებულია 10 თამაშით და დაჯარიმდა 2 500 ლარით; **ნოდარ ნოზაძე** და **ლაშა რეხვიაშვილი** მსაჯების სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობისთვის დისკვალიფიცირებულნი არიან 3-3 მატჩით და დაჯარიმდნენ 400-400 ლარით; „დილას“ მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ხორგუაშვილი**, მოთამაშე-მწვრთნელი **რევაზ ხაჭაპურიძე** და ადმინისტრატორი **ზურაბ კარტოზია**, რომლებმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯებს, დისკვალიფიცირებულნი არიან 2-2 თამაშით და დაჯარიმდნენ 300-300 ლარით.

საფეხბურთო კლუბი „დილა“ გულშემატკივრების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და მოედანზე ქვების სროლისთვის დაჯარიმდა 250 ლარით. სტადიონს კი მიეცა პირობითი დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე.

**ქახა შალამბერიძე**


ალბერტ საყვარელიძე

# კლუბი, გაზეთი, გამოძიება, ალკოჰოლიკი და... ირაკლი

ცოტა ხნის წინ „სარბიელმა“ გარიგებული თამაშების თაობაზე წერილების ციკლი წარმოგიდგინათ. თუმცა ეს ისეთი თემაა, სათქმელი და სამსჯელო რომ არ დაილევა და ჩაწყობილ-გარიგებულ თამაშებზე წერას გვერდს არც მომავალში ავუვლით. დღეს ერთი კონკრეტული თამაშის გარჩევა გვსურს. ეს რუსეთის მეორე დივიზიონის მატჩია. მის გასარჩევად კი ორი მიზეზი გვაქვს — ერთი, რომ საქმე ჟურნალისტებმა გახეთქეს და რუსი სამართალდამცავები სწორედ იქაური გაზეთის, „სოვეტსკი სპორტის“ პუბლიკაციების მერე ჩაერთო გამოძიებაში და მეორე: საქმეში „ქართული კვალი“ იკვეთება...


ირაკლი გეგეჭკორი


ნიკოლაი ტოლსტიხი

**მატჩი,** რომელზეც მოგითხრობთ, რუსეთის მეორე დივიზიონის დასავლეთ ზონაში, 2007 წლის 4 ოქტომბერს ჩატარდა — „სმოლენსკი“ მოსკოვის „სპორტაკადემკლუბს“ მასპინძლობდა.

იმ დროისთვის სატურნირო ვითარება იმგვარი იყო, რომ „სპორტაკადემკლუბს“ პირველ დივიზიონში ასაზევებლად უეჭველად გამარჯვება სჭირდებოდა, ხოლო სმოლენსკელებს მარცხი თითქმის უნაღდებდა მეორე დივიზიონიდან გავარდნას (შეგახსენებთ, რომ რუსეთში სეზონი შემოდგომაზე მთავრდება).

ერთი სიტყვით, ამ მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის, რომ იტყვიან, სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. საბოლოოდ კი, „სპორტაკადემკლუბმა“ მატჩი ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოიგო.

პირველი ეჭვი, რომ თამაში მთლად პატიოსანი არ ყოფილა, ცხრა დღის მერე, ერთ სმოლენსკურ გაზეთში გაჩნდა, რის მერეც თემა „სოვეტსკი სპორტმა“ აიტაცა.

„სოვეტსკი სპორტი“ ამბების ქრონოლოგიას ასე გადმოგვცემს:

**13 ოქრომბერი, 2007:** სმოლენსკის ოლქის გაზეთ „რაბოჩი პუტში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით: „სმოლენსკის“ დამარცხება მილიონად შეფასდა“. სტატიაში კლუბის გამგეობის წევრი ოლეგ სობოლევი ამბობს, ფეხბურთელებს და მწვრთნელს მატჩის დათმობა შესთავაზესო.

**30 ოქტომბერი, 2007:** „სოვეტსკი სპორტი“ აქვეყნებს ინტერვიუს ოლეგ სობოლევთან და „სმოლენსკის“ ყველაზე ცნობილ ფეხბურთელ ვალერი სოლიანიკთან, რომლებიც ადასტურებენ, რომ მათ მართლაც შესთავაზეს მატჩის „ჩაშვება“.

იმავე დღეს „სოვეტსკი სპორტი“ დაუკავშირდა პიროვნებას, რომლისგანაც სმოლენსკელებმა გარიგებაში მონაწილეობის შეთავაზება მიიღეს. ამ პიროვნებამ ყველაფერს „აბსოლუტური სიცრუე“ უწოდა.

გარიგებაში მონაწილეობა უარყო „სპორტაკადემკლუბის“ პრეზიდენტმა ანდრეი ლეკსაკოვმაც, ხოლო რუსეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ და საფეხბურთო კავშირმა „სმოლენსკისგან“ ოფიციალური განმარტება მოითხოვა.

**1 ნოემბერი, 2007:** პროფლიგის პრეზიდენტმა ნიკოლაი ტოლსტიხმა განაცხადა, რომ ლიგა „სმოლენსკი“ — „სპორტაკადემკლუბის“ მატჩის თაობაზე საკუთარ გამოძიებას იწყებს.

„სმოლენსკის“ წარმომადგენლები მოსკოვში, პროფლიგის ოფისში შეხვედრაზე არ ჩადიან, ხოლო კლუბის მთავარ მწვრთნელ სილოვანოვს იგივე პიროვნება, რომელმაც გარიგება შესთავაზა, ურეკავს და ემუქრება.

**23 ნოემბერი, 2007:** ნიკოლაი ტოლსტიხი პირველად ასახელებს გარიგების შემთავაზებელი პიროვნების სახელს. ეს არის ვინმე ირაკლი.

ასევე ირკვევა, რომ „სმოლენსკის“ ხელმძღვანელობას სამართალდამცავი ორგანოებისთვის ამ დრომდე არ მიუმართავთ.

**29 ნოემბერი, 2007:** სმოლენსკის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება „სოვეტსკი სპორტის“ მასალებზე დაყრდნობით, საქმის შესწავლას იწყებს.

**16 იანვარი, 2008:** შინაგან საქმეთა განყოფილებამ მასალები ეკონომიკურ დანაშაულებებთან ბრძოლის განყოფილებას გაუგზავნა დამატებით შესამოწმებლად და საზოგადოებისთვის მაშინ გახდა ცნობილი ირაკლის სრული ვინაობა: ირაკლი კონსტანტინეს ძე გეგეჭკორი.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 27 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე პერიოდში გეგეჭკორი რამდენჯერმე დაუკავშირდა „სმოლენსკის“ ფეხბურთელებს და ხელმძღვანელობას და სთხოვა, დახმარება გაეწიათ „სპორტაკადემკლუბისთვის“, რის სანაცვლოდაც ფულს სთავაზობდა. ხოლო 4 ოქტომბერს გეგეჭკორი უშუალოდ მატჩის დაწყებამდე, შესვენებისას და დამთავრების მერეც ესაუბრებოდა „სპორტაკადემკლუბის“ წარმომადგენლებს.

„სმოლენსკის“ მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ სილოვანოვმა განმარტა, რომ თამაშამდე 7-10 დღით ადრე, ფეხბურთელებმა — სოლიანიკმა, ფედოსოვმა და მელქაძემ აცნობეს ვინმე ირაკლისგან სატელეფონო ზარების თაობაზე. ამის მერე, რაც სიტუაცია კლუბის ხელმძღვანელობამ გაარჩია, მთავარ მწვრთნელს დაევალა, თავად დალაპარაკებოდა ირაკლის.

ირაკლი რამდენჯერმე დაუკავშირდა სილოვანოვს სახლის და მობილურ ტელეფონებზე და „სპორტაკადემკლუბთან“ დამარცხების სანაცვლოდ შესთავაზა „ფინანსური დახმარება და მხარდაჭერა „სმოლენსკის“ მომდევნო მატჩებში“.

სილოვანოვს და ირაკლის შორის ბოლო საუბარი (უკვე პირადი შეხვედრისას) შედგა მატჩის წინა საღამოს, 21.30 საათზე სასტუმრო „როსიას“ წინ. საუბარი 20 წუთს გაგრძელდა. ირაკლი მოსაუბრეს გადაწყვეტილების სასწრაფოდ მიღებას სთხოვდა, თუმც სილოვანოვისვე თქმით, მას არანაირი დაპირება არ მიუცია.

გამოძიების მასალებზე დაყრდნობით, „სოვეტსკი სპორტი“ გვამცნობს, რომ ირაკლი კონსტანტინეს ძე გეგეჭკორი დაბადებულია 1965 წლის 2 აპრილს სოხუმში, ხოლო ცხოვრობს სანკტ პეტერბურგში. ბოლოს მუშაობდა ყაზანის „რუბინში“ სპორტულ დირექტორად 2006 წლის 2 თებერვლიდან 31 დეკემბრამდე.

ერთი საინტერესო ფაქტიც: „სმოლენსკის“ დირექტორმა კარაჩუნმა, ჯერ კიდევ 2007 წლის 23 ნოემბერს, გასცა ცნობა, რომ მწვრთნელი სილოვანოვი იმყოფება სამკურნალოდ შემდეგი დიაგნოზით: „ალკოჰოლზე დამოკიდებულების სინდრომი. საშუალო სიმძიმის ფაზა. გართულების სტადია“.

გაგრძელება, ვფიქრობთ, იქნება...

**გიორგი დარჯანია**



# მათე ღვინიანიძის დაწყევლილი მუხლი

## ქართველმა მცველმა სეზონი დაასრულა

**ძალიან** დატანჯა ტრავმებმა მათე ღვინიანიძე. წარმოიდგინეთ, 20 დეკემბერს „მიუნხენ 1860“-ის მცველმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა, რის შემდეგაც მკურნალობდა და ერთი თამაშიც ვერ ჩაატარა, ახლა კი მარცხენა მუხლზე ოპერაცია დასჭირდა.

აუგსბურგის კლინიკაში მათეს მუხლის სახსრის დაზიანებული ქსოვილი ამოკვეთეს და ექიმის ცნობით, მართალია, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ჩვენიანი მხოლოდ ახალი სეზონისთვის იქნება მზად.

ღვინიანიძე ჯერ მარტო ოთხ კვირას აუგსბურგის კლინიკაში გაატარებს.

**ილია ნანობაშვილი**

# დვალიშვილის ბალტი-გოლი

**„ბალტიის თასის“** გათამაშების ჯგუფური ეტაპის მორიგ ტურში გაილაღა დავით გამეზარდაშვილისა და ვლადიმერ დვალიშვილის „სკონტომ“. ლატვიელებმა სტუმრად 6:1 მოუგეს ლიტვურ „სუდუვას“ და ნახევარფინალში გასვლა თითქმის გაინაღდეს.

გამეზარდაშვილმა ლიტველებთან სრულად ითამაშა, დვალიშვილი კი მოედანზე 62-ე წუთზე შევიდა და ხუთ წუთში პენალტიც გაიტანა.

ნახევარფინალში გასვლის შანსს ინარჩუნებენ სხვა „ქართული“ ქუნდებიც — ლატვიური „ვენტსპილსი“ და ლიტვური „კაუნასი“.

„ვენტსპილსმა“ ზურაბ მენთეშაშვილის გარეშე 2:0 მოუგო ვილნიუსის „ჟალგირისს“ და ქულებით (6-6) გაუთანაბრდა.

გივი კვარაცხელიას, ნუკრი მანჩხავასა და აკაკი ხუბუტიას „კაუნასი“ კი სტუმრად 1:1 ეთამაშა ლიეპაიას „მეტალურგს“. სამივე ქართველი ძირითადში იყო, მანჩხავამ 25-ე წუთზე ტრავმა მიიღო და შეცვალეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

თბილისის მერია და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთაწმინდის რაიონული ორგანიზაცია ატარებენ ტურნირს ქუჩის ფეხბურთში, 14-წლამდე ბავშვებს შორის.

ტურნირი მთაწმინდის რაიონის (ვერა, მთაწმინდა, სოლოლაკი, ოქროყანა) განახლებულ მინი-ფეხბურთის მოედნებზე ჩატარდება.

განაცხადები მიიღება 15 აპრილამდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისებში და გამგეობის შენობაში: ვერა — თარხნიშვილის 1, მთაწმინდა — არსენას 21 და ჭანტურიას 5, სოლოლაკი — ლეონიძის 2.

განაცხადთან ერთად მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

საკონტაქტო პირი: გიორგი ხაჩიძე 877 99 09 20




ბადრი კეთილაძის ფოტო

გელა შეყილაძე

# ქარიანი ტესტი

## გელა შეყილაძე უცხოეთს ელის

გუშინ „ოლიმპიკის" ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მოედანზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კანდიდატთა გამოსაცდელი მორიგი მატჩი გაიმართა.

მთავარმა მწვრთნელმა გელა შეყილაძემ აღმოსავლეთ-დასავლეთის ნაკრები თბილისის ნაკრებს გააჯიბრა.

დილომში ძლიერი ქარი ქროდა და ამან თამაშზე დიდი გავლენა იქონია. მატჩი ფრედ, 0:0 მორჩა.

შეხვედრა მწირმომენტიანი გამოდგა და შედეგიც ლოგიკური დაფიქსირდა...

***თბილისის ნაკრები:*** *ნადირაძე (ლევაშვილი 46), ადამაშვილი (მელაძე 46), ჯიმშელეიშვილი (კვეკვესკირი 46), ახვლედიანი (სირაძე 46), ამაშუკელი (საბაძე 46), ჯიშკარიანი (შონია 46), ჟვანია (ბარიხაშვილი 46), ქართველიშვილი, მურადაშვილი (ბაქრაძე 46), ვაშაკიძე (ჩაფიძე 46), გაბაშვილი (უგულავა 46),*

***დასავლეთ-აღმოსავლეთის ნაკრები:*** *მეშველიანი (მაქაცარია 46), კირკიტაძე, ფუტკარაძე (აფაქიძე 46), მირცხულავა, დილმელაშვილი, ჭედია (იობაშვილი 46), ჩელებაძე (ლარიბაშვილი 46), ძალამიძე (კუხიანიძე 46), ორდენიძე (მეფარიშვილი 46), ხარაბაძე (ვრძელივანიშვილი 46), ბუზალაძე (ჩანველია 46).*

თამაშს 300-მდე მაყურებელი დაესწრო და მათ შორის, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხორვატი თავკაცი პეტარ სეგრტიც იყო.

ნამატჩევს *გელა შეყილაძეს* გავესაუბრეთ: „სექტემბერში გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის სერიოზულად ვემზადებით. კარგი იქნებოდა, დღეს ასეთი ძლიერი ქარი არ ყოფილიყო, ფეხბურთელები უკეთ აჩვენებდნენ თავიანთ შესაძლებლობებს, მაგრამ არა უშავს, ამ ბავშვების თამაშს ისედაც კარგად ვიცნობთ. ამ ფეხბურთელებიდან 20 კაცს შევარჩევთ და 5 აპრილიდან თბილისში შეკრებაზეც გადავალთ. 15 და 17 აპრილს ბულგარეთში ამ ქვეყნის ნაკრებს გავეჯიბრებით, მაისში რუმინეთთან გვაქვს დაგეგმილი თამაში, აგვისტოში პალანგის ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. გვაინტერესებს, ჩვენები საერთაშორისო დონეზე როგორ წარმოაჩენენ თავს. სექტემბერში კი შესარჩევი ეტაპიც დაიწყება".

**ნუკრი ლოლაძე**



ბადრი კეთილაძის ფოტო

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა. 20 ტური

### აღმოსავლეთი

**ჩიხურა 3:1 ოლიმპიკი**

0:1 ალავიძე (12), 1:1, 2:1, 3:1 მიქაძე (15, 47, 56)

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, ზივზივაძე, ხვედელიძე, რ. ბარაბაძე, ლ. ჩიკვაიძე, როგავა (მაჭარაშვილი 65), დოლონაძე, ჭილლაძე, ი. ზაბახიძე (ცარციძე 89), მ. მიქაძე, ბ. პეტრიაშვილი (გულიაშვილი 80)

*სათადარიგონი: ბეგაშვილი, გ. ენუქიძე, მ. ნადირაძე, დ. ენუქიძე*

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

**ოლიმპიკი:** დაუთაშვილი, ბებუა, გ. ალავიძე, სანოძე, გ. როსტომაშვილი (ოქრუაშვილი 62), ფურცელაძე, ნ. მაისურაძე, შ. კვანტალიანი (ლვინიაშვილი 46), ბელთაძე, თ. შონია, ლაბარტყავა (გ. იაშვილი 46)

*სათადარიგონი: კეკელიძე, ქამუშაძე, ჯინჭარაძე*

მწვრთნელი: ლევან მელიქია

მსაჯი: პ. დოგრაშვილი

100 მაყურებელი

**კახეთი 0:1 ოლიმპი 2**

0:1 სებისკვერაძე (27)

**კახეთი:** გ. ოთარაშვილი, გ. ლომიძე, მურველაშვილი, ბედოიძე, ჩუთლაშვილი, დ. ბურდული, შ. ლობჟანიძე, გ. კეკლიშვილი, ბიძინაშვილი (მელიქიშვილი 75), ლ. ტეტიაშვილი, ძამუკაშვილი (მაჩაიძე 78)

*სათადარიგონი: ქუფარაშვილი, ტარუღაშვილი, აბდულაევი, მ. ხიდეშელი, ახალბედაშვილი*

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

**ოლიმპი 2:** გ. კალანდაძე, სარაჯიშვილი, გ. ოდიშარია, გ. პაჭკორია, გ. რეხვიაშვილი, გ. გურეშიძე, ზვიადაძე, მახარაშვილი (ჯაში 55), გუგუჩია, სებისკვერაძე (ჭაფოძე 90), ტორონჯაძე

*სათადარიგონი: გალდავა, ზედგინიძე, სულუხია, გავაშელიშვილი, დ. პაჭკორია*

მწვრთნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: ტეტიაშვილი, სარაჯიშვილი, ბედოიძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

300 მაყურებელი

**ნ. დინ-მერანი 2 0:0 დინამო 2**

**ნ. დინ-მერანი 2:** დგებუაძე, დაბრუნდაშვილი, ტოსტიაშვილი, ა. შენგელია, კაკულია (გავაშელი 58), ხუჭუა, ჯორჯიკია, ქავთარაძე (ა. ნოზაძე 64), ღვთისავრიშვილი, ბურჭულაძე (გურჩიანი 70), ჩიტალაძე

*სათადარიგონი: აფრიდონიძე, ლონიაშვილი*

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

**დინამო 2:** გ. ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, გეთიაშვილი, ა. ტეტუნაშვილი, ნემსაძე, კოპაძე (ქანთარია 58), მამუჩიშვილი, გ. ჩიკვაიძე (ჭადაშვილი 84), ი. სიხარულიძე, ჯიშკარიანი (ჯოხაძე 75)

*სათადარიგონი: მაკარიძე, ჩადუნელი, ი. ხვადაგიანი, მამრაში*

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

100 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2 1:0 ამერი 2**

1:0 ჯიქიძე (68)

**ვიტ ჯორჯია 2:** მიქაბერიძე, პირველი, ადამაძე, კასრაძე, კაიშაური, ვასაძე, ინჯგია (ლანიაშვილი 74), კვალინიძე (მაისაშვილი 66), ვეკუა (მ. როსტიაშვილი 46), გ. ჯანელიძე, ჯიქიძე

*სათადარიგონი: ღურბელეიშვილი, სორდია, ზაქრაძე, იოსელიანი*

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

**ამერი 2:** გვენცაძე, დ. მჭედლიშვილი (შუკაკიძე 68), გ. ჯელაძე, გვაძაბია, ხატიაშვილი, სილაგავა, ა. ალავიძე (ვ. ჯელაძე 58), გ. მუშკუდიანი, ხუციძე, ხარაძე (ლ. ბოჯგუა 61), ჩიმაკაძე

*სათადარიგონი: შ. გოგიაშვილი, ტ. ენუქიძე, გ. სიჭინავა, გრძელიძე*

მწვრთნელი: დავით მახარაძე

გაფრთხილება: გვაძაბია

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

100 მაყურებელი

**მეშაქრე 2:1 გაგრა**

1:0 ახობაძე (48პ), 1:1 ფილია (54), 2:1 მანწკავა (66)

**მეშაქრე:** პ. ოთარაშვილი, ახობაძე, ლ. ტყებუჩავა, გაგნიძე, გვარუციძე, კავთელაძე (ობგაიძე 75), გ. ლაცაბიძე, ა. ჯანელიძე, ლ. კობახიძე, ლ. მანწკავა (ებანოიძე 68), ჩიხლაძე (მ. ლობჟანიძე 85)

*სათადარიგონი: აბრამიშვილი, ბ. გოცირიძე, ი. სიხარულიძე, მესხიძე*

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

**გაგრა:** ბათიაშვილი, ქაჯაია, ქვრივიშვილი, გ. კვანტალიანი, ბ. ყიფიანი, ცხადაია (ლ. სეთურიძე 84), ჩარგეიშვილი, ე. ფილია, კორიფაძე (მეტრეველი 21; ზ. დათუნაშვილი 73), შარიქაძე, ზ. ძაგანია

*სათადარიგონი: ხომერიკი, ბ. ტეტუნაშვილი, ხელაძე, სუხიშვილი*

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი

გაფრთხილება: ქაჯაია, კვანტალიანი, ყიფიანი, ცხადაია, ჯანელიძე, ებანოიძე

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

300 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 20 | 11 | 6 | 3 | 29:14 | 39 |
| მეშაქრე | 20 | 10 | 6 | 4 | 29:18 | 36 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 20 | 10 | 5 | 5 | 29:15 | 35 |
| გაგრა | 20 | 10 | 5 | 5 | 39:32 | 35 |
| ჩიხურა | 20 | 9 | 6 | 5 | 32:26 | 33 |
| ოლიმპი 2 | 20 | 8 | 6 | 6 | 27:20 | 30 |
| კახეთი | 20 | 7 | 4 | 9 | 29:31 | 25 |
| ამერი 2 | 20 | 7 | 2 | 11 | 30:34 | 23 |
| ოლიმპიკი | 20 | 3 | 4 | 13 | 24:42 | 13 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 20 | 0 | 6 | 14 | 17:53 | 6 |

**XXI ტური**

6 აპრილი, კვირა

ამერი 2 – მეშაქრე

ოლიმპი 2 – ვიტ ჯორჯია 2

დინამო 2 – ჩიხურა

გაგრა – ნ.დინ-მერანი 2

ოლიმპიკი – კახეთი

### დასავლეთი

**ხობი 3:0 კოლხეთი**

1:0 დანელია (44), 2:0 გაგუა (87), 3:0 ლომაია (89)

**ხობი:** ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ფარფალია, დ. ჭითანავა, ჯამბურია, ი. კუტალია, სამსეიშვილი (ჩაჩანიძე 77), ო. ფიფია, პაპავა, სართანია (გ. ლომაია 74), დანელია (გაგუა 75)

*სათადარიგონი: ლ. ჭითანავა, მ. შონია, ა. კვირკველია, ლატარია*

მწვრთნელი: ლევან ნოდია

**კოლხეთი:** გ. შენგელია, ლუსტა, გ. კილასონია, ცხვიტარია, გეგელია (ი. მოისწრაფიშვილი 61), ციკოლია, აბურჯანია, გოგონაია (დ. მოისწრაფიშვილი 71), გოგნაძე, გვიჩია (გახარია 63), ხიზანიშვილი

*სათადარიგონი: თ. მანაგაძე, მეგრელიშვილი, ზ. შენგელია*

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: ხიზანიშვილი, კილასონია, სამსეიშვილი, კუტალია, სართანია

გაძევება: ლუსტა (89)

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

150 მაყურებელი

**უნივერსიტეტი 0:1 სამტრედია**

0:1 კვესეიშვილი (89)

**უნივერსიტეტი:** კუჭუხიძე, გ. ტორაძე, წიქორიძე, დარჯანია, შველიძე, კვირიკაშვილი, მორჩილაძე, ბოდოკია (კუბლაშვილი 87), ბასილაია, ქაშიბაძე (დვალიშვილი 80), ზ. ლოსაბერიძე (ბარელიძე 75)

*სათადარიგონი: ლ. მანაგაძე, მეფარიშვილი*

მწვრთნელი: ედუარდ შავგულიძე

**სამტრედია:** ხურციძე, თელია, გოგია, გუბელაძე, კვესეიშვილი (ზ. რაზმაძე 90), ქობალია, ა. ივეჩიანი (ეცადეიშვილი 60), დ. ჭინჭარაძე (ბოხუა 87), შ. ჩომახიძე, კრავეიშვილი, ბაკარანძე

*სათადარიგონი: ამაღლობელი, ნინუა, მამულაშვილი, ადეიშვილი*

მწვრთნელი: ბადრი ქორიძე

გაფრთხილება: ჯინჭარაძე, ბასილაია

მსაჯი: გ. ვადაჭკორია

200 მაყურებელი

**ზესტაფონი 2 1:0 მერანი (მ)**

1:0 საცერაძე (20)

**ზესტაფონი 2:** ჯალაღონია, სურმავა, ბერუაშვილი, ხუმარაშვილი, გელაჭეიშვილი, ჟონატასი, საცერაძე (გაბრიჭიძე 44), გორგიაშვილი (ბურძენაძე 81), სოფრომაძე (გავაშელაშვილი 77), დ. ჯანელიძე, აკუასაგა

*სათადარიგონი: ო. ბოჭორიშვილი, პუკია, ბ. ცხადაძე, ა. ლაბაძე*

მწვრთნელი: მალხაზ ღონღაძე

**მერანი (მ):** ლ. ძაგანია, ჩხიკვაძე, ფარცვანია, აქუბარდია, კ. ძაგანია, გ. გოგუა (პაპადოპულოსი 64), წონორია, ტ. ჟღენტი (ლ. ჩალაძე 46), ლომია, ბეგოიძე, ცაგარეიშვილი (ციცხვაია 74)

*სათადარიგონი: ლ. ტორაძე, რუხაძე, კვიტატიანი, ჯ. შეროზია*

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: კ. ძაგანია, ხუმარაშვილი, გაბრიჭიძე, ბერუაშვილი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

200 მაყურებელი

**მეშახტე 0:0 ტორპედო**

**მეშახტე:** თ. გიორგაძე, დონაძე, მ. ბოჭორიშვილი, ყურაშვილი, მაჩალაძე (წერეთელი 36), ჯიშიაშვილი, ხაჩიძე, ჩუბინიძე, გ. კირკიტაძე, გოგბერაშვილი (მერკვილაძე 89), ავალიშვილი

*სათადარიგონი: ცქიფურიშვილი, თევზაძე*

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

**ტორპედო:** დ. შემარნიშვილი, დათიაშვილი, ვ. ვაჩიბერაძე, ხარებავა, გაბუნია, ჭანკვეტაძე, კილაძე, მეტონიძე (გ. გურეშიძე 59), ი. დარსაძე (სირაძე 46), თვალავაძე (გოდერიძე 46), კეჭეყმაძე

*სათადარიგონი: დ. ოდიშარია, ქათამაძე, ლურსმანაშვილი, სანთელაძე*

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

გაფრთხილება: ჯიშიაშვილი, გაბუნია, კეჭეყმაძე, ჭანკვეტაძე, ავალიშვილი, ხარებავა, ხაჩიძე, გურეშიძე

გაძევება: კირკიტაძე (85)

მსაჯი: თ. გვანცელაძე

300 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 20 | 17 | 2 | 1 | 44:13 | 53 |
| ზესტაფონი 2 | 20 | 11 | 2 | 7 | 32:18 | 35 |
| მეშახტე | 20 | 11 | 1 | 8 | 31:29 | 34 |
| მერანი (მ) | 20 | 10 | 4 | 6 | [illegible] | 34 |
| ტორპედო | 20 | 8 | 5 | 7 | [illegible] | [illegible] |
| კოლხეთი | 20 | 7 | 6 | 7 | 25:25 | 27 |
| ხობი | 20 | 7 | 5 | 8 | 26:24 | 26 |
| უნივერსიტეტი | 20 | 6 | 3 | 11 | 16:21 | 21 |
| სამტრედია | 20 | 4 | 4 | 12 | 22:43 | 16 |
| ფაზისი | 20 | 2 | 2 | 16 | 17:52 | 8 |

*„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან*

**XXI ტური**

6 აპრილი, კვირა

ტორპედო – ხობი

მერანი (მ) – მალაროელი

სამტრედია – ზესტაფონი 2

კოლხეთი – უნივერსიტეტი

ფაზისი – მეშახტე

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
მეოთხედფინალი. პირველი მატჩები



კრიშტიანუ რონალდუს საგოლე თავური

# ლუჩანო სპალეტი: მანჩესტერო, კატენაჩო უნდა გერქვას შენ!

## ფერგიუსონს რონალდუს თავმა საკუთარი თავი გაახსენა

**რომა 0:2 მანჩესტერი**

0:1 რონალდუ (39), 0:2 რუნი (66)
რომა: დონი, კასეტი, მექსესი, პანუჩი, ტონეტო (სისინიო 69), დე როსი, აკვილანი (ესპოზიტო 76), ტადეი (ჟიული 59), პიზარო, მანჩინი, ვუჩინიჩი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი (ოში 34), ევრა, კარიკი, სქოულზი, ანდერსონი (ჰარგრივსი 55), რონალდუ, პარკი, რუნი (ტევესი 84)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: პიზარო, ანდერსონი, მექსესი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)
80 023 მაყურებელი

**ოცნებას** კაცი არ მოუკლავს და ლუჩანო სპალეტიმაც თქვა, რომ სტუმრად ორი გოლის გატანა შეუძლებელი არაა, „მანჩესტერს“ დაცვითი ფეხბურთის თამაში დასწამა და ყველაზე იტალიურ გუნდად მონათლა.

შარშან „ოლდ ტრეფორდზე“ წაგებული მატჩის (1:7) გამო რომაელები სარევანშოდ ემზადებოდნენ, მაგრამ ფრანჩესკო ტოტის ტრავმამ მწვრთნელს გეგმა აურია.

„მგლები“ ტოტის გარეშეც არ გამოიყურებოდნენ ურიგოდ, რადგან მეტოქეზე ბევრი მომენტი შექმნეს, თუმცა კარში ვერ უმიზნებდნენ. ეს კი სპალეტიმ უიღბლობას მიაწერა.

„ანგარიშით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ „მანჩესტერი“ უფრო მაღალი კლასისაა, მაგრამ თამაშის მიხედვით ამას ვერ ვიტყვი — განაცხადა რომაელთა თავკაცმა — ერთადერთი, რაც ჩემს გუნდში არ მომეწონა, ისაა, რომ მეორე გოლი არაფრისგან გაგვიტანეს და ბიჭებმა ამის შემდეგ ცხვირი ჩამოუშვეს, ბრძოლა შეწყვიტეს და მატჩის გადარჩენის იმედი დაკარგეს.

ჩემი აზრით, მანმდე საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმის დასაწყისში, კრისტიან პანუჩის და მირკო ვუჩინიჩს კი გატანა მართებდათ. მოკლედ, ასეთ მარცხს არ ვიმსახურებდით.

„მანჩესტერმა“ დაცვითი ტაქტიკა არჩია, ჩვენი სტუმრები თითქმის მთელი გუნდით საკუთარ საჯარიმოსთან იდგნენ, მოედნის ცენტრი დაგვითმეს და აქცენტს გრძელ პასებსა და ფორვარდების სისწრაფეზე აკეთებდნენ. გამძლეობა არ აკლიათ, ნიჭიერი ფეხბურთელებიც ჰყავთ და ამ ყველაფერთან ერთად იღბალიც მათ მხარეს იყო.

იტალიურ კლუბებს ყოველთვის დაცვითი ფეხბურთის თამაშში ადანაშაულებენ და თუ ასეა, დღეს „მანჩესტერი“ ყველაზე იტალიური გუნდი იყო. მისი ათამდე მატჩი ვნახე და მუდამ ასეთ ტაქტიკას იყენებს. მანჩესტერელები მეტოქეს უსაფრდებიან, მომენტს ელოდებიან, რომ შეცდომაზე დაიჭირონ და კონტრშეტევებით პასუხობენ. ჩვენ ვუტევდით, მათ კი კარში პირველივე დარტყმით გაგვიტანეს.

საპასუხო მატჩი დღევანდელზე რთული იქნება, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ნახევარფინალში ველარ გავალთ. ორი გოლი ლიონშიც გაგვიტანია და მადრიდშიც.

ტოტის ტრავმა მსუბუქი აღმოჩნდა და ვიმედოვნებ, რომ ფრანჩესკო მანჩესტერში დაგვეხმარება. არ ვაპირებთ ხელის ჩაქნევას და ხელს მცირე შანსსაც ჩავებღაუჭებით. აქაც ვიბრძოლებთ და იტალიის ჩემპიონობისთვისაც“.

ალექს ფერგიუსონმა კი ბრძანა, რომ მათთვის იღბლიანი საღამო იყო და „მანჩესტერს“ გამარჯვებაში ფრანჩესკო ტოტის ტრავმაც დაეხმარა:

„მეორე ტაიმის დასაწყისში მძაფრად გაგვიმართლა, მეტოქემ რამდენიმე მომენტი რომ ვერ გამოიყენა, თუმცა ისიცაა, რომ „რომას“ ტოტის ტვინი და შემოქმედება აკლდა. ეს ჩვენც ვიგრძენით და ამით შექმნილი უპირატესობა გამოვიყენეთ. რონალდუს გოლმა მატჩის ხასიათი შეცვალა. მან გამოცდილი ცენტრფორვარდივით ითამაშა და ჩემი ახალგაზრდობა გამახსენა“.

ერთ ეპიზოდში რონალდუმ ბურთით წაიჯამბაზა რაც რომაელმა ფანებმა სტვენით შეაფასეს. ამაზე ფერგიუსონმა თქვა: „იმდენად ნიჭიერია, რომ ხანდახან, ეშხში შესული, გაილაღებს ხოლმე, მაგრამ ეს მხოლოდ ტალანტის გამოვლენის სურვილია და მეტოქის შეურაცხყოფას არ ნიშნავს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფრანც ბეკენბაუერი: დააბრუნეთ თვითმფრინავის ბილეთები!

**შალკე 0:1 ბარსელონა**

0:1 კრკიჩი (11)
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ასამოა (ლარსენი 73), ერნსტი, კობიაშვილი, პანდერი, კურანი (სანჩესი 60), ალთინთოპი (ლოვენკრანდსი 88)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მილიტო, აბიდალი, ხავი, იაია ტურე (მარკესი 73), ინიესტა, კრკიჩი (სილვინიო 85), ეტოო (ჯოვანი 82), ანრი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: მილიტო, პანდერი, ლარსენი, ერნსტი, კრსტაიჩი, პუიოლი, მარკესი, ჯოვანი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
53 951 მაყურებელი

**17 წლისა** და შვიდი თვის ბოიან კრკიჩმა ჩემპიონთა ლიგაში პირველი გოლი „შალკეს“ გაუტანა და ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში რიგით მეორე უყრმესი მეგოლე გახდა. რეკორდი კი ганელ პიტერ ოფორი-კუაიეს ეკუთვნის, რომელმაც 1997 წლის 1 ოქტომბერს „ოლიმპიაკოსის“ მაისურით შეაგდო და მაშინ 17 წლისა და 195 დღის იყო. „შალკე“ ჩემპიონთა ლიგაში გოლუხვობით არ გამოირჩევა და ვერც „ბარსელონასთან“ ივარგა „ხუმარებმა“ ჯგუფური ეტაპის ექვს მატჩში და მერვედფინალის ორ შეხვედრაში ოდენ ექვსის გატანა შეძლეს და ასეთი შედეგით მერვედფინალამდე რომ მიაღწიეს, ესეც საკვირველია.

„ბილდმა“ დაწერა: „შესვენებისას მასპინძელთა ქომაგებმა თავის გუნდს უსტვინეს, რადგან ადგილობრივი ფეხბურთელები მუხლის კანკალით თამაშობდნენ. მესის, რონალდინიოს და დეკუს გარეშე „ბარსელონაც“ არ ბრწყინავდა და საშუალო დონის ფეხბურთი აჩვენა“.

ტელეკომპანია „პრემიერთან“ ინტერვიუში კი ფრანც ბეკენბაუერმა „შალკეს“ დასცინა: „მე ვერ დავინახე ბრძოლის ჟინი და თავდადება. „კამპ ნოუზეც“ ასე თამაშს თუ აპირებენ, უმჯობესია შინ დარჩნენ და ბარსელონაში არ წავიდნენ“

მირკო სლომკა: „მეტოქისადმი პატივისცემა შიშში გადაიზარდა და გონზე მოსასვლელად საკმარისზე მეტი დრო დაგვჭირდა. მეორე ტაიმში თამაში გამოვასწორეთ და მომენტებიც გვქონდა, რაც საპასუხო შეხვედრისთვის იმედს მიტოვებს. „ბარსელონამ“ ბოლო მატჩებში ბევრი გოლი გაუშვა და დარწმუნებული ვიყავი, რომ უშანსოდ არც ჩვენ დავრჩებოდით, თუმცა, სამწუხაროდ, ხელსაყრელი ეპიზოდები ვერ გამოვიყენეთ. ასეთი დონის თამაშებში კი თითოეული მომენტი ძალიან ძვირად ფასობს.

ცხადია, ბარსელონაში მთელი 90 წუთის განმავლობაში ისე ვერ გავისარჯებით, როგორც აქ მეორე ტაიმში, მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველი მაქვს. დღეს რამდენიმე შემქმნელი ფეხბურთელი გვაკლდა და ვიმედოვნებ, რომ ერთი ან ორი მათგანი საპასუხო მატჩისთვის დაგვემატება“.

მასპინძელთა მწვრთნელმა ნასტვენი კევინ კურანის ვექილობაც იკისრა. კურანი მე-60 წუთზე შეცვალეს და მისი თამაშით უკმაყოფილო ფანებმა სტვენით გააცილეს.

„კიდევ ერთხელ უნდა შევახსენო მათ, ვისაც დაავიწყდა, რომ კევინს ამ ზამთარს ფილტვების ანთების გამო გუნდთან ერთად შეკრება არ გაუვლია და სათანადო ფორმაში არაა.



„ბარსას“ გამარჯვება თინეიჯერი ბოიან კრკიჩის კინკილა გოლმა მოუტანა

ის მალე იღლება და შევცვალე, რომ უფრო სალი ფორვარდით შეგვეტია. ვერავინ დაიჩემებს, მოედანზე რომ დარჩენილიყო, გაიტანდა თუ არა, რადგან ეს სამკითხაოა და არც ის იყო გარანტირებული, რომ მისი შემცვლელი აუცილებლად შეაგდებდა. უბრალოდ, დასვენებულ ფორვარდს გატანის მეტი შანსი აქვს და სანჩესიც ამიტომ შევუშვი. დარწმუნებული ვარ, კურანი თავის სიტყვას ამ სეზონში კიდევ იტყვის“.

ფაბიან ერნსტი: „მატჩის დასაწყისში ძალიან პასიურები ვიყავით და მეტოქემ კიდეც დაგვსაჯა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მე და ჩემს თანაგუნდელებს გვსიამოვნებდა იმის ყურება, თუ როგორ აგორებდა ბურთს „ბარსა“ და ხელს არ ვუშლიდით“.

ჯანლუკა ძამბროტა: „ხალხი მეკითხება, ნახევარფინალში „რომა“ გირჩევნია თუ „მანჩესტერი“, მაგრამ ამ კითხვას არ ვპასუხობ, რადგან ჯერ საპასუხო მატჩი გვაქვს სათამაშო“.

ფრანკ რაიკაარდმა ბოიან კრკიჩის საქებრად სიტყვა არ დაიშურა: „მეტისთან“ წაგების გამო ჩვენს გარშემო ატეხილი რიარიალის გამოსვლა და საამმატჩოდ მომზადება იოლი არ იყო, მაგრამ გუნდმა ხასიათი გამოავლინა და მოიგო. ძალიან მიხარია, რომ ბოიანი მატჩიდან მატჩამდე უმატებს და ისე თამაშობს, როგორც დალვინებული ფეხბურთელი. პოზიციას საუცხოოდ ირჩევს და „ბარსასთვის“ უმნიშვნელოვანესი მოთამაშე ხდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კოშმარი ფეხბურთის ქუჩაზე

**ფეხბურთი ასეა: როდესაც ერთმანეთს ჯიბრში ჩამდგარი მეტოქეები ხვდებიან, ეს ლამაზი თამაში სულ იოლად შეიძლება კოშმარად იქცეს — ფანების ქცევაზე მოგახსენებთ. მართლაც, რა არ ახსოვს ფეხბურთის ისტორიას, ტრიბუნიდან ნასროლი გოჭის თავით დაწყებული მკვლელობით დამთავრებული.**

**რატომ წამოიწია ამ დღეებში კონფლიქტების თემა ევროპულ პრესაში? იმიტომ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ორი სახიფათო წყვილი შეიკრა: „რომა“ — „მანჩესტერი“ და „ფენერბაჰჩე“ — „ჩელსი“.**

**„რომა“... რომაული ფეხბურთის ისტორიამ „რომასა“ და „ლაციოს“ უამრავი დიდი თამაში, მაგრამ უამრავი სკანდალიც იცის. იგივე შეიძლება ითქვას სტამბოლზეც: „ფენერბაჰჩე“ და „გალათასარაი“...**

**თუმცა, რომისა და სტამბოლის გარდა არის მრავალი სხვა ქალაქიც და ამ წერილში, ორიოდ სიტყვით, იქ დატრიალებულ ამბებზე გვინდა გესაუბროთ. სჯობს, წყვილები ჩამოვთვალოთ:**



### ბარსა – რეალი

2000 წელს „ბარსელონადან“ მადრიდში პორტუგალიელი ვარსკვლავი ლუიშ ფიგუ გადავიდა და ამ ტრანსფერის გამო იქცა სრულიად კატალონიის საძულველ ადამიანად. სწორედ მაშინ იყო, ბარსელონაში ჩასული მადრიდული კლუბის ავტობუსის გავეშებული ფანებისგან დაცვას სპეცდანიშნულების რაზმის მეცადინეობა რომ დაჭირდა. მას მერე, ფიგუ ყოველი თამაშის ცენტრალურ ფიგურად აღიქმებოდა, 2003 წელს კი „კამპ ნოუს“ ტრიბუნიდან გოჭის თავიც კი ესროლეს.

### ფენერბაჰჩე – გალათასარაი

ამ დერბის მაღალი ტემპერატურა საკუთარ თავზე შოტლანდიელ ვარსკვლავს გრემ სუნესს აქვს ნაწვნევი — სუნესი 1995 წელს „გალათასარაის“ ედგა სათავეში. მაშინ, პირველ ჯერზე, მასობრივი არეულობა კინაღამ თავად ემოციურმა სქოთმა გამოიწვია. „ფენერბაჰჩეს“ ერთ-ერთმა დირექტორმა მაშინ სუნესს მავნებელი უწოდა და მომდევნო დერბის წინ, თავის სტადიონზე, ცენტრალურ წრეში „გალათასარაის“ დიდი დროშის დამარხვით იძია შური.

### რივერი – ბოკა ხუნიორსი

ბუენოს აირესის ამ დერბის მრავალი დიდებული სპექტაკლი უნახავს, მაგრამ ახსოვს 1968 წელიც, როდესაც სტადიონიდან თავის დაღწევის მცდელობისას 71 გულშემატკივარი ჭყლეტაში დაიღუპა. შემდეგ, ორივე გუნდის ფანები ჭყლეტას ერთმანეთს აბრალებდნენ. მაგალითად, „რივერის“ ფანები ამტკიცებდნენ, რომ ვიწრო გასასვლელებში „ბოკას“ ფანებმა მათ ფეხებში ცეცხლმოკიდებული დროშები ჩაუყარეს.

### მილანი – ინტერი

აქ, სჯობს არცთუ დიდი ხნის, 2007 წლის ამბავი გავიხსენოთ, როდესაც „მილანის“ ბრაზილიელ მეკარე დიდას ტრიბუნიდან თავში მაშხალა გაარტყეს. ეს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა გახლდათ. პირველ მაშხალას მეორე, მესამე და ასე გასინჯეთ, ოცდამეათეც კი მოჰყვა და გერმანელმა მსაჯმა მარკუს მერკმა თამაში 73-ე წუთზე შეწყვიტა. არეულობის მიზეზი კი „ინტერის“ არგენტინელი ნახევარმცველის, ესტებან კამბიასოს თავური გოლის არჩათვლა გახლდათ.

### აიაქსი – ფეიენოორდი

ჰოლანდიელებს თითქოს შედარებით გაწონასწორებულ ხალხს უწოდებენ, მაგრამ როდესაც საქმე ფეხბურთს ეხება, ისინიც გვარიანად თუხთუხებენ. „აიაქსისა“ და „ფეიენოორდის“ დაპირისპირებათა ისტორიაში მკვლელობაც კი არის ჩაწერილი. 2003 წელს კი, მთავარი რაა, სათადარიგო გუნდების შეხვედრისას ამსტერდამელი ქომაგები მოედანზე შევარდნენ და როტერდამელ ფეხბურთელებს დაერივნენ. და როგორ გგონიათ, ვინ იყო როტერდამელთა სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში? დღეს უკვე კარგად ცნობილი რობინ ვან პერსი და ხორხე აკუნია. ამ უკანასკნელს საავადმყოფოში მოუხდა დაზიანებული თავის, ნეკნის და კისრის მკურნალობა.

### რეინჯერსი – სელტიკი

„ოლდ ფირმ დერბის“ ჩამოყალიბებას საფუძვლად პოლიტიკური და რელიგიური საკითხები უდევს, ასე რომ, წარსულში, გლაზგოს ამ ორი გუნდის თამაშს მასობრივი არეულობები ხშირად მოსდევდა. საინტერესო სტატისტიკაა: „ოლდ ფირმ დერბის“ არსებობის 120 წლის განმავლობაში ორივე გუნდში მხოლოდ ხუთ ფეხბურთელს უთამაშია. ერთიდან მეორეში ყველაზე ხმაურიანი გადასვლა 1989 წელს შედგა. მაშინ, „რეინჯერსში“ ყოფილი სელტიკელი მო ჯონსტონი გადავიდა. აღსანიშნავია, რომ პროტესტანტთა გუნდი „რეინჯერსი“ იმხანად კათოლიკე ფეხბურთელებთან კონტრაქტს ჯერ კიდევ არ აფორმებდა, ჯონსტონი კი, გარდა იმისა, რომ კათოლიკე იყო, „სელტიკში“ დაბრუნებასთან გახლდათ ძალიან ახლოს და უცბათ... თავი „რეინჯერსში“ ამოჰყო.

### რომა – ლაციო

2004 წელს ამ გუნდების თამაშის მეორე ტაიმი ოთხად ოთხი წუთის დაწყებული გახლდათ, როდესაც ტრიბუნებზე ჭორი დაირხა, სტადიონის გარეთ პოლიციამ ბიჭი მოკლაო და თამაში ჩაიშალა. თუ გახსოვთ, მაშინ, „რომას“ მთავარი ხულიგნები მოედანზე ჩავიდნენ და „ჯალოროსის“ კაპიტანს, ფრანჩესკო ტოტის ელაპარაკნენ. თამაშის შეწყვეტის მომენტისთვის ანგარიში იყო 0:0, ორი კვირის შემდეგ კი მატჩი თავიდან ჩატარდა და 1:1 დამთავრდა. იმ სეზონში, ის ორი ქულა „რომას“ ჩემპიონის ტიტულის დაკარგვად დაუჯდა.

### ცრვენა ზვეზდა – პარტიზანი

ერთის ქომაგთა დაჯგუფებას ჰქვია მესაფლავეები, მეორისას მეომრები.... აღსანიშნავია, რომ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1990-იან წლებში გაჩაღებული საშინელი ომის დროს ბელგრადის ამ ორი გუნდის ფანები ერთ ქვედანაყოფში არ იბრძოდნენ. ამასწინათ, ორივე ფრთა მოედანზე ჩახტა და ფეხბურთელებთან იჩხუბა.

**პაპუნა ქედია**







# ძენგას და კანის ენთუზიაზმი



ვალტერ ძენგა

**ბოლო** ორ-სამ დღეში სერია A-ს კიდევ ორ კლუბს შეეცვალა მწვრთნელი. „კატანია“ სილვიო ბალდინისგან ვალტერ ძანგემ ჩაიბარა, „ემპოლიდან“ კი ალბერტო მალეზანი დაითხოვეს და ტოსკანელთა თავკაცის პოსტს ჯიჯი კანი დაუბრუნდა. ორივე სპეციალისტი მუშაობას დიდი ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით შეუდგა.

„დიდი დრო არ არის იმისთვის, რომ კლუბში რევოლუციური ცვლილებები მოვახდინოთ, თან სილვიო ბალდინიმ მართლაც კარგი სამუშაო გაწია. ჩემი მიზანია, მოთამაშეებს ღიმილი, გამარჯვებისკენ სწრაფვა და თავდაჯერებულობა დავუბრუნოთ. რეალურად მხოლოდ ფასობს შედეგი და მეტი არაფერი. „კატანიას“ ფანები ფეხბურთელობის პერიოდიდან მახსოვს და მათგან დიდ დახმარებას ველი. ხელმძღვანელობაც გავიცანი და ყველამ ერთად უნდა შევძლოთ კლუბის სერია A-ში დატოვება“ — თქვა ძენგამ.

48 წლის სპეციალისტს მწვრთნელის რანგში რუმინეთში, სერბეთში, აშშ-ში, თურქეთსა და ემირატებში უმუშავია მეტ-ნაკლები წარმატებით. იტალიაში კი პროფესიულ დონეზე ეს მისი პირველი კლუბი იქნება. „ინტერის“ ყოფილი მეკარე ფეხბურთელობისას გვარიანი ტემპერამენტით გამოირჩეოდა, მაგრამ ძენგა ირწმუნება, რომ შეიცვალა.

„საკმაოდ კარგი გამოცდილება მაქვს და ახლა შანსი მეძლევა, მწვრთნელის რანგში ჩემი ნიჭი რეალურად გამოვავლინო. თუმცა პირად წარმატებას კლუბის ინტერესებზე წინ ნამდვილად არ ვაყენებ. რაც შეეხება ჩემს ხასიათს, ისე ნუ დამხატავთ, როგორც ფეხბურთელობისას. როცა დრო გადის და თმები გცვივა, რაღაცებს სწავლობ. ახლა დისციპლინა და წესრიგი მიყვარს. ვცდილობ, სამაგალითო და ფეხბურთელებთან ურთიერთობაში უშუალო ვიყო“ — დასძინა ძენგამ.

დღეს „კატანია“ 29 ქულით მეთხუთმეტე-მეთვრამეტე ადგილებს ინაწილებს „პარმასთან“, „ლივორნოსთან“ და „კალიარისთან“.

რაც შეეხება 26 ქულით ბოლო ადგილზე მყოფ „ემპოლის“, მას ის მწვრთნელი დაუბრუნდა, რომელთან ერთადაც წინა სეზონში დიდ წარმატებას მიაღწია — უეფას თასის საგზური მოიპოვა.

ჯიჯი კანი: „როცა კლუბმა დაბრუნება მთხოვა, ყველაფერი კარგად გავაანალიზე და მხოლოდ მერე დავთანხმდი. ძალიან მოტივირებული ვარ, უფრო დიდი შემართებაც კი მაქვს, ვიდრე ადრე მქონდა. ეს ახალი გამოწვევა ძალიან მახარებს. მჯერა, ბიჭები ბოლომდე დაიხარჯებიან და უმაღლეს ლიგაში დარჩენას შევძლებთ. ახლა წარსულში ქექვის ან ცხრილში ზედმეტად ყურების დრო არ არის, წინ შვიდი ფინალი გველის და ამ მატჩებში რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა მოვიხვეჭოთ“.

**გიორგი ქაქაბაძე**



რიო და რვა თვის ლორენს ფერდინანდები



რეჩილ ელისონი

# ცუდი ბიჭის სხვა ცხოვრება

**რიო ფერდინანდზე** ბედნიერი ადამიანი იშვიათია — როგორც News of the World-ი გვატყობინებს, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების კაპიტნის მეორე ნახევარი, 27 წლის რეჩილ ელისონი მეორე ბავშვზეა ფეხმძიმედ. პირველი, წლისა და რვა თვის ვაჟი ჰყავთ და ლორენსი ჰქვია.

| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 5 | რეინჯერსი-სპორტინგი | 2.15 | 3.10 | 3.25 | 1.26 | 1.29 | 1.58 |
| 20:30 | 6 | ლევერკუზენი-ზენიტი | 1.65 | 3.40 | 5.10 | 1.11 | 1.24 | 2.03 |
| 22:45 | 7 | ბაიერნი-ხეტაფე | 1.45 | 3.60 | 7.50 | 1.03 | 1.21 | 2.43 |
| 22:45 | 8 | ბაიერნი-ხეტაფე 0:1 | 2.20 | 3.40 | 2.65 | | | |
| 22:45 | 9 | ფიორენტინა-პსვ | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 15:15 | 14 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 4.30 | 3.30 | 1.85 | 1.86 | 1.29 | 1.18 |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 15 | ბარნსლი-კარდიფი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 849 | კრუზეირო-სან ლორენცო | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 23:45 | 850 | ატლეტიკო ნაც-ბუკასი | 1.65 | 3.40 | 4.65 | 1.11 | 1.21 | 1.96 |
| 23:45 | 852 | მონტევიდეო-კორონელ ბოლოგნესი | 1.30 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.89 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 3 აპრილი | | | | | | |
| 21:15 | 791 | ფენერბაჰჩე-სიენა | 2.00 | 12.00 | 1.80 | 1.71 | 1.00 | 1.56 |
| 22:00 | 792 | პარტიზანი-ტაუ | 1.80 | 12.00 | 2.00 | 1.56 | 1.00 | 1.71 |
| 22:45 | 793 | ბარსელონა-მაკაბი | 1.40 | 12.00 | 2.85 | 1.25 | 1.00 | 2.30 |
| 21:45 | 794 | ოლიმპიაკოსი-ცსკა | 1.80 | 12.00 | 2.00 | 1.56 | 1.00 | 1.71 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10005 | რეინჯერსი-სპორტინგი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10006 | ლევერკუზენი-ზენიტი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10007 | ბაიერნი-ხეტაფე | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10009 | ფიორენტინა-პსვ | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11005 | რეინჯერსი-სპორტინგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11006 | ლევერკუზენი-ზენიტი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11007 | ბაიერნი-ხეტაფე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11009 | ფიორენტინა-პსვ | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12005 | რეინჯერსი-სპორტინგი | 1.55 | 2.20 |
| 12006 | ლევერკუზენი-ზენიტი | 1.60 | 2.10 |
| 12007 | ბაიერნი-ხეტაფე | 1.80 | 1.80 |
| 12009 | ფიორენტინა-პსვ | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13005 | რეინჯერსი-სპორტინგი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ლევერკუზენი-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ბაიერნი-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ფიორენტინა-პსვ | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14005 | რეინჯერსი-სპორტინგი | 1.75 | 2.10 |
| 14006 | ლევერკუზენი-ზენიტი | 1.45 | 2.40 |
| 14007 | ბაიერნი-ხეტაფე | 1.20 | 2.60 |
| 14009 | ფიორენტინა-პსვ | 1.65 | 2.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | რეინჯერსი-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ლევერკუზენი-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ბაიერნი-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ფიორენტინა-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | რეინჯერსი-სპორტინგი | 1.52 | 2.20 |
| 16006 | ლევერკუზენი-ზენიტი | 1.23 | 3.60 |
| 16007 | ბაიერნი-ხეტაფე | 1.12 | 4.60 |
| 16009 | ფიორენტინა-პსვ | 1.32 | 3.00 |

### გოლი:ფუჩილი-1ლი კენტი-2 (0:0 ითვლება ფუჩილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17005 | რეინჯერსი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ლევერკუზენი-ზენიტი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ბაიერნი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ფიორენტინა-პსვ | 1.85 | 1.95 |

# ევროლიგა

## მეოთხედფინალის პირველი მატჩები

**ცსკა 74:76 ოლიმპიაკოსი**
ცსკა: სმოდიში (21), ანდერსენი (15), შიშკაუსკასი (12)
ოლიმპიაკოსი: ვუდსი (20), გრირი (19), ვასილოპულოსი (14)

**სიენა 73:66 ფენერბაჰჩე**
სიენა: ლავრინოვიჩი (16), ტორნტონი (14), მაკინტირი (12)
ფენერბაჰჩე: კინსი (12), ერდენი (12), სოლომონი (11)

**ტაუ 74:66 პარტიზანი**
ტაუ: პლანინიჩი (18), რაკოჩევიჩი (15)
პარტიზანი: კეჟმანი (13), პეკოვიჩი (12)

**მაკაბი 81:75 ბარსელონა**
მაკაბი: ბატისტა (15), მორისი (14), ვუიჩიჩი (12)
ბარსელონა: ილიასოვა (21), ბაზილე (17), კაშუნი (12)

# ოლიმპიაკოსმა მოსკოვში გაიგრიალა

**ევროლიგის** ოთხთა ფინალში გასასვლელად გადამწყვეტი ბრძოლები დაიწყო და პირველივე მატჩებში გვარიანი სენსაციაც გამოცხვა. მოსკოვის ცსკა, რომელსაც ხუთ აქამდელ ოთხთა ფინალში უთამაშია და შინ მიჯრით 27 მატჩი მოეგო, ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან" დამარცხდა. არმიელები საკუთარი მაყურებლის თვალწინ პირეოსელთა ამერიკელმა ლეგიონერმა ლინ გრირმა დაამწუხრა, ვინც სირენის თანხლებით გამარჯვების ბურთი ჩააკალათა.

„ჩემთვის დიდი პატივია, გადამწყვეტი სროლის უფლება რომ მერგო — თქვა ნამატჩევს გრირმა — ნიკოლა ზიზისმა ყველაფერი გააკეთა დაცვაში, თუმც მაინც დავუსხლტი და ვესროლე. უმაგრესი შეგრძნებაა, როცა თამაშის ბედს შენი ნასროლი წყვეტს".

გრირის ოქროს ორქულიანმა ბერძნებს სულზე მიუსწრო, თორემ ის რომ არ ჩავარდნილიყო, თამაში ოვერტაიმში გადავიდოდა და მასპინძლებს ისეთი სიჩქარე ჰქონდათ აკრეფილი, სტუმრებს მოგებას ალარ გაატანდნენ. ცსკა მთელი თამაში აგებდა, ერთხანს 15 ქულითაც, თუმცა ბოლო წუთებში შეძლო ბერძნებს წამოწევა და გრირს რომ არ ეყოჩაღა...

„ბოლო მეოთხედში ცოტა მოვეშვით და არაერთი სროლა გავაფუჭეთ სრულიად თავისუფალი მდგომარეობიდან — თქვა „ოლიმპიაკოსის" თავკაცმა პანაიოტის იანაკისმა— პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა ხელიდან გვეცლებოდა და ბოლოს ცსკა-მ გაგვითანაბრა კიდეც, თუმცა არ შევმცდარვარ, როცა გადამწყვეტი სროლა გრირს მივანდე. მისი წყალობით კონტინენტის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი დავამარცხეთ".

პირეოსელებმა ტურნირი არასტაბილურად დაიწყეს და თავიდან ბევრს აგებდნენ, თუმცა გზადაგზა შეთამაშდნენ და მეორე ჯგუფური ეტაპიდან ალარავის ინდობენ. მოსკოვში მათ მიჯრით მეექვსე საევროლიგო გამარჯვება მოიპოვეს და თუ ერთი კვირის თავზე შინაც დაძლევენ არმიულ ბარიერს, ოთხთა ფინალში გაივაკებენ. ქულათა სხვაობას მნიშვნელობა არ აქვს ამ ეტაპზე — მეოთხედფინალურ რაუნდს ის იგებს, ვინც ორ გამარჯვებას მოიპოვებს.

„ოლიმპიაკოსს" გრანდების გამწარების გამოცდილება უკვე აქვს — მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში პირეოსელებმა მადრიდის „რეალი" დაამარცხეს და ამ ოთხთა ფინალის მასპინძელ გუნდს საკუთარ ქალაქში მაყურებლის როლი არგუნეს.

დარჩენილ სამ წყვილში ყველაფერი ლოგიკას დაემორჩილა. ყველა მასპინძელმა იმარჯვა, თუმც იოლი გასეირნება არც ერთ არ ჰქონია.

„ტაუმ" ბრძოლაში მოუგო მეოთხედფინალში სენსაციურად გამძვრალ „პარტიზანს", რომელმაც მოქმედი ჩემპიონი „პანათინაიკოსი" ჩატოვა ჯგუფში და ახლა ბასკებთანაც დიდი გული აქვს. თუმც ვიტორელები მედგარდ დაუხვდნენ „პარტიზანებს" და ზორან პლანინიჩის წინამძღოლობით სერიაში პირველი გამარჯვებაც იზეიმეს.

„მაკაბისაც" დიდი ჯაფა დასჭირდა „ბარსელონას" გასატეხად. კატალონიელებს მოულოდნელად ულიდერა თურქმა ახალბედა ერსან ილიასოვამ, ვისი ძალისხმევითაც ბოლო მეოთხედამდე თანაბრობა იყო. ბოლოს საკუთარი კედლების ფაქტორმა მაინც თავისი გაიტანა და „მაკაბიმ" 6 ქულით იმარჯვა.

დაბოლოს, „სიენამ" „ფენერბაჰჩე" დაამწუხრა, თუმც თურქებმა გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს ფავორიტ მასპინძელს და სერიის მორიგ სტამბოლურ მატჩში საერთო ანგარიშის გათანაბრებასაც ეშურებიან.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

1 აპრილი

**ორლანდო 97:98 ნიუ ორლეანი**
ორლანდო: თურქოღლუ (26), ლუისი (29), ჰოვარდი (17 ქულა, 15 მოხსნა)
ნიუ ორლეანი: პოლი (19 ქულა, 12 პასი), პიტერსონი (19), ვესტი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**სან ანტონიო 116:92 სტეიტი**
სან ანტონიო: პარკერი (26), დანკანი (17 ქულა, 12 მოხსნა), ჯინობილი (16)
გოლდენ სტეიტი: დევისი (19)

**დენვერი 126:120 ფინიქსი**
დენვერი: აივერსონი (31), ენტონი (25), მარტინი (18), სმიტი (17)
ფინიქსი: ბარბოსა (27), სტუდემაიერი (25 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (17 ქულა, 18 პასი), გირიჩეკი (16), ონილი (14 ქულა, 13 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 97:108 ფილადელფია**
ნიუ ჯერსი: კარტერი (29), ჰარისი (22), ჯეფერსონი (22)
ფილადელფია: მილერი (24 ქულა, 11 პასი), იგუდალა (17), [illegible]ნი (16), დალემბერტი (15 ქულა, 13 მოხსნა, 8 დაფარება)

**მილუოკი 119:115 ნიუ იორკი**
მილუოკი: რედი (36), ბოგუტი (24 ქულა, 13 მოხსნა), საიმონსი (14)
ნიუ იორკი: რიჩარდსონი (22), რენდოლფი (19 ქულა, 10 მოხსნა), კროუფორდი (19)

**მინესოტა 90:94 დეტროიტი**
მინესოტა: ჯეფერსონი (26), ფოი (18)
დეტროიტი: სტაკი (27), პირსი (16)

**ჩიკაგო 92:106 ბოსტონი**
ჩიკაგო: ტომასი (24), ნოჩიონი (19)
ბოსტონი: ალენი (22), გარნეტი (20), პირსი (17)

**საკრამენტო 99:98 ჰიუსტონი**
საკრამენტო: არტესტი (30), მარტინი (27)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (32), სკოლა (20), ელსტონი (16)

# თვის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი

**ჯო ჯონსონი (ატლანტა)**

## დასავლეთი

**კრის პოლი (ნიუ ორლეანი)**





„ნიუ ორლეან ჰორნეთსის" 183-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი კრის პოლი ისეთ ზღაპრულ კალათბურთს თამაშობს, რომ ვინ იცის, რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ლებრონ ჯეიმსზე, კობი ბრაიანტსა და ასოციაციის სხვა მეგავარსკვლავებზე წინ დააყენონ სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვაში. მით უმეტეს, არავის გაჰკვირვებია, ნბა-ს საუკეთესო მეპასე მარტის საუკეთესო მოთამაშედ რომ დასახელდა დასავლეთ კონფერენციაში.

პოლმა მარტში 15 თამაშიდან 11 მოაგებინა „კრაზანებს" და კონფერენციაში გაალიდერა. მისი პირადი მონაგარი კი კიდევ უფრო შთამბეჭდავია — 24,0 ქულა, 13,3 პასი და 2,7 ჩაჭრა საშუალოდ მატჩში. მისი წყალობით იქცა „ნიუ ორლეანი" ქვესაშუალო გუნდიდან დევებით დასახლებული კონფერენციის წინამძღოლად და პლეი ოფსაც დიდი ამბიციით ხვდება.

აღმოსავლეთის რჩეული კი ჩვენებური ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი და „ატლანტა ჰოქსის" ლიდერი ჯო ჯონსონი გახლავთ, ვისი ყოჩობითაც „ქორები" წლეულს ალბათ გატეხავენ 9-წლიან ყინულს და პლეი ოფში დაბრუნდებიან. ჯონსონმა მარტის თამაშებში საშუალოდ 24,9 ქულა და 7,0 პასი აგროვა.

აღმოსავლეთში თვის მწვრთნელად „ბოსტონ სელტიქსის" დამრიგებელი დოკ რივერსი დაასახელა, ვინც თავის გუნდს მარტში 16 თამაშიდან 13 მოაგებინა, თან მიყოლებით დაამარცხებინა ლიგის თითქმის ყველა მძლავრი გუნდი და საბოლოოდ დაამკვიდრა აღმოსავლეთის ცხრილის თავში. მარტის საუკეთესო ახალბედად კი ფაჩულიას კიდევ ერთი თანაგუნდელი, მისი უშუალო კონკურენტი, ალ ჰორფორდი დასახელდა.

დასავლეთში თვის მწვრთნელის სახელი ერგო „იუტა ჯაზის" თავკაც ჯერი სლოუნს (12 მოგება, 4 წაგება), თვის ახალბედად კი „სიეტლის" ლიდერი კევინ დურანტი შეირაცხა.

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის" ვერსია):** კრის პოლი (ნიუ ორლეანი), ჯო ჯონსონი (ატლანტა), კარმელო ენტონი (დენვერი), კარლოს ბუზერი (იუტა), ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)



## კაცები

კიბისკეინი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 3 770 000 $

### მეოთე წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 4:6 6:3 7:5; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — მიხაილ იუჟნი (11, რუსეთი) 3:6 6:0 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (10, ჩეხეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:2 6:2; **იგორ ანდრეევი** (31, რუსეთი) — გილერმო კანასი (15, არგენტინა) 6:4 7:6; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — რადეკ შტეპანეკი (27, ჩეხეთი) 6:3 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — პოლ-ანრი მატიო (16, საფრანგეთი) 6:4 6:4; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 4:6 6:3 6:2

## ქალები

კიბისკეინი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 3 770 000 $

### მეოთხედფინალი

**სერენა უილიამსი** (8, აშშ) — ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) 6:2 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — ვინუს უილიამსი (6, აშშ) 6:4 6:4


სერენა უილიამსი



# საქართველოს მე-18 ჩემპიონატი
## კაცები. მესამე წრე

1 აპრილი

**სტუ-თელავი 39:15 მამული**
სტუ-თელავი: ტორონჯაძე, ი. ჩიქოვანი (9 გოლი), ა. ყიფიანი (8), ტალახაძე (6), გ. კობახიძე (6), გ. ჩიქოვანი (4), საჯაია (3), ქობელაშვილი (2), გოგალაძე (1), მელქოშვილი, ჯორბენაძე, ნიკოლაიშვილი
მამული: მ. ხონელი (1), ბერიკაშვილი, კვერნაძე (8), თეთრუაშვილი (3), გველესიანი (1), გელაშვილი (1), ჩაჩანიძე (1), შონია, ქუთათელაძე, სეთურიძე.
*მსაჯები:* ელენე არაბული, თამარ არჩაია

**თბილისი 36:4 ქუთაისი**
თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი, ქარდავა (11), ტორონჯაძე (16), წივწივაძე (5), ყაველაშვილი (5), მაისურაძე (3), ლალანიძე (1), გელაშვილი (1), მარლნიშვილი
ქუთაისი: ხინგავა, ადამია (2), ნიკურაძე (1), სვანიძე (1), შიშინაშვილი, დ. გობეჯიშვილი, თუთბერიძე, დოლაკიძე, ჯანაშია, სიხარულიძე, დოლიძე, ცერცვაძე.
*მსაჯები:* ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 7 | 7 | 0 | 0 | +139 | 14 |
| თბილისი | 7 | 5 | 0 | 2 | +143 | 10 |
| მამული | 7 | 2 | 0 | 5 | -111 | 4 |
| ქუთაისი | 7 | 0 | 0 | 7 | -171 | 0 |

**ზამთრის** ძილის მერე, კვლავ ხელბურთელთა მე-18 ჩემპიონატის მესამე წრე, გუშინ ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში განახლდა. წყვილების ფავორიტებმა — „სტუ-თელავმა" და „თბილისმა" — თავიანთი თამაშები ზედმეტი ხერხ-ოსტატობის გარეშე მოიგეს. თვითონ თამაშებზე კი აბა, რა გითხრათ? „მამული" და „ქუთაისი" წინააღმდეგობის გაწევას კი არა, გოლების გატანასაც ვერ ახერხებდნენ. დღეს და ხვალ კიდევ ორ-ორი თამაში ჩატარდება, პარასკევს კი „სტუ-თელავი" — „თბილისია" და, ვნახოთ, რას იზამენ ლიდერები.

**ლექსო მაისურაძე**

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# მეფორმულე ქალები

ფორმულა 1-ის თითქმის 60-წლიან ისტორიაში მხოლოდ ხუთ ქალ-პილოტს ერგო მსოფლიოს ჩემპიონატებში გამოსვლის პატივი. სამი მათგანი იტალიელი იყო, თითოც — ინგლისელი და სამხრეთაფრიკელი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც ერთმა ვერ მოიკიდა ფეხი მყარად „სამეფო რბოლებში“და მით უმეტეს, ვერ შეძლო წარმატების მოპოვება. ის კი არა, მხოლოდ ორმა ქალბატონმა მოახერა რბოლის სტარტზე გასვლა, ხოლო ერთმა განსაცვიფრებელ შედეგს მიაღწია — ფინიშზე ჩასათვლელ ექვსეულში აღმოჩნდა.

ხუთივე მრბოლს მრავალფეროვანი სპორტული ბიოგრაფია ჰქონდა და, რაც ნებისმიერ გამარჯვებაზე უმთავრესია, ყველამ მშვიდობიანად, მძიმე ავარიისა და ტრავმების გარეშე დაასრულა ეს გამორჩეულად რისკიანი და მშფოთვარე საქმიანობა

## მარია ტერეზა დე ფილიპისი (იტალია)
1958-1959 წლები



ნეაპოლელი მრბოლი დიაც მეფორმულეთა შორის პირველი მერცხალია. სამძღოლო სკოლა მან ეროვნულ ჩემპიონატებში გაიარა OSCA და „მასერატის“ მანქანებით. გასული საუკუნის 50-იანი წლების ავტოვარსკვლავის, ლუიჯი მუსოს რჩევითა და თანადგომით, თავიდან კუნძულ სიცილიაზე, სირაკუზის ტრასაზე არასაჩემპიონატო რბოლაში მიიღო მონაწილეობა და მოულოდნელად ფინიშთან მეხუთე მივიდა.

ამ წარმატებით წაქეზებულმა გაბედულმა სენიორამ 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხ გრან პრიზე გადაწყვიტა გაჯიბრითება. მონაკოში სადებიუტო ეტაპზე 32 წლის მარიამ კვალიფიკაცია ვერ გაიარა. მართალია, მისი „მასერატი 250F“ 30 კონკურენტს შორის 24-ე იყო, მაგრამ მეორე დღეს სტარტზე მაინც ვერ მოხვდა, რადგან მონტე კარლოს უვიწროეს და ჩახვეულ ქუჩებში სარბოლოდ, უსაფრთხოების თვალსაზრისით, მხოლოდ 16 მანქანას უშვებდნენ.

ერთი თვის შემდეგ ბელგიაში, სპა-ფრანკორშამის ჩქაროსნულ და ზესახიფათო ტრეკზე რბოლა ფილიპისმა ბოლო, მე-19 პოზიციიდან კი დაიწყო, მაგრამ ისე იყოჩაღა, რომ ფინიშის ხაზი მეათემ გადაკვეთა, ხოლო ორ მომდევნო ეტაპზე ძრავამ უმტყუნა.

1959 წელს მარია მოქმედმა ფრანგმა პილოტმა ჟან-მარი ბერამ თავის გუნდ „ბერა პორშე“-ში მიიწვია. პირველი გამოცდა ისევ მონაკოში შედგა და კვლავ უხეირო გამოდგა — ფილიპისმა 21-ე შედეგი აჩვენა (სამ მრბოლზე უკეთესი) და ამჯერადაც კვალიფიკაციის მიღმა დარჩა. ეს მისი ბოლო გრან პრი აღმოჩნდა, რადგან მალე ბერა გერმანიაში რბოლისას დაიღუპა და მარიამაც კარიერა დაასრულა, თუმც ავტოსპორტთან კავშირი არ გაუწყვეტია. ფორმულა 1-ის პირველმა ქალმა მრბოლმა ყოფილი პილოტების მხარდამჭერის საზოგადოებაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოსტი დაიკავა.

## მარია-გრაცია (ლელა) ლომბარდი (იტალია)
1974-1976 წლები



„ტურინელი ძუ ვეფხვი“ ერთადერთი ქალია ფორმულა 1-ის ისტორიაში, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპზე ქულის მოპოვება შეძლო.

მარია ტურინის მახლობლად სოფელ ალესანდრიაში, ყასბის ოჯახში დაიბადა 1943 წლის 26 მარტს. სპორტის სიყვარული ბავშვობიდანვე გამოაჩნდა. თავიდან ხელბურთმა გაიტაცა, ადგილობრივ გუნდში თამაშობდა და უკვე მაშინ მიიქცია ყურადღება ნებისყოფითა და მტკიცე ხასიათით, რის გამოც „ძუ ვეფხვი“ შეარქვეს.

ლომბარდებს მანქანა არასოდეს ჰყოლიათ და მარიას რბოლებისადმი ინტერესი მოულოდნელად, ხელბურთის მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ გაუჩნდა. საჭირო გახდა ექიმთან მისვლა და ავტობუსის გაჩერებასთან მდგომი დაშავებული გოგონა გზად მიმავალი ლურჯი „ალფა რომეოთი“ უცნობმა ქალიშვილმა წაიყვანა. ჰოსპიტალამდე გზის გავლას ტაქსისტი ალბათ ნახევარ საათს მოანდომებდა, უცნობმა კი გადაჭედილ გზებზე ლავირებით, ისე, რომ ტროტუარზეც კი მოუხდა „გასეირნება“, გაჭირვებაში მყოფი მარია ათ წუთში მიაგრიალა. ამან ტრავმირებულ ხელბურთელზე ისეთი გავლენა მოახდინა, რომ გადაწყვიტა ავტომრბოლი გამხდარიყო. მაშინვე ჩაეწერა კურსებზე და სამი თვის შემდეგ მართვის მოწმობაც მიიღო, შემდეგ კი ცოტაოდენი თანხა შეაგროვა და ძველი „ფიატი“ იყიდა.

მალე ერთი ახალგაზრდა მრბოლი გაიცნო, რომელმაც რალის ერთ-ერთ ეტაპზე მარიას შტურმანის როლი შესთავაზა. ქალიშვილს ისე მოეწონა ჯირითი, რომ მომდევნო რბოლაში საჭეს თავად მიუჯდა და ყველას გასაკვირვად, იმ ეტაპზე გამარჯვება მოიპოვა. როცა ჟურნალისტებმა ვინაობა ჰკითხეს, ბავშვობის მეტსახელით — ლელა — გაეცნო და კარიერის ბოლომდე ასე დარჩა.

ლელა ლომბარდი რამდენიმე წელი იტალიის ჩემპიონატებში გამოდიოდა, როგორც ძარიანი, ასევე ღია მანქანებით, ხოლო როცა 1974 წელს მექსიკაში „ფორმულა ფორდის“ ჩემპიონატი მოიგო, კომპანია „შელის“ სპონსორული მხარდაჭერა მიიღო და ამის წყალობით ბრიტანულ „ფორმულა 5000“-ში გადავიდა. იმავე სეზონში ფორმულა 1-ის ეტაპსაც „გაუსინჯა გემო“, თუმც ბრიტანეთის გრან პრიზე დებიუტი უხეირო გამოდგა — „ბრებემ კოსუორტით“ 29-ე დრო აჩვენა 35 მონაწილეს შორის და რბოლის სტარტზე ვერ მოხვდა.

შემოდგომაზე ლელამ იტალიელი არისტოკრატი და მულტიმილიონერი ვიტორიო სანონი გაიცნო, რომელმაც მომავალ ჩემპიონატში მისი მონაწილეობა დააფინანსა. გრაფს ეს ახირება 200 ათასი დოლარი დაუჯდა.

1975 წლის სეზონში ლომბარდიმ 12 რბოლიდან ხუთში მეტ-ნაკლებად ხეირიანი შედეგი აჩვენა, ხოლო ესპანეთის დიდ პრიზზე ბარსელონის ქუჩებში ზეისტორიული წარმატება მოიპოვა. „მონჟუიკ-პარკის“ ტერიტორიაზე რბოლა 29-ე წრეზე შეწყდა რალფ შტომელენის საშინელი ავარიის გამო. გერმანელი პილოტის ტრასიდან გავარდნილი „ჰილი“ მაყურებლებში შევარდა და ოთხი მათგანი იმსხვერპლა. რბოლის შეჩერებისას, რაკი საერთო დისტანციის ორ მესამედზე ნაკლები იყო გავლილი, პირველ ექვსეულს განახევრებული ქულები დაერიცხა. ლომბარდის „მარჩი“ იმ მომენტში მეექვსე მიდიოდა, ასე რომ, იტალიელ პილოტესას ნახევარი ქულა მიეთვალა.

მარია-გრაცია 1992 წელს კიბოსგან გარდაიცვალა 49 წლის ასაკში.

## დივინა გალიკა (ინგლისი)
1976, 1978 წლები



ჰერტფორდშირის საგრაფოს პროვინციულ უოტფორდში დაბადებულ-გაზრდილი დივინა მრავალმხრივი სპორტსმენი იყო. თითქმის სამი ათეული წელი შედიოდა დიდი ბრიტანეთის მოთხილამურეთა ნაკრებში და ზამთრის ოთხ ოლიმპიურ თამაშებშიც მიიღო მონაწილეობა. ამასთანავე, ბრიტანეთის რეკორდი დაამყარა „პირდაპირ“ ტრასაზე ზეჩქაროსნულ დაშვებაში — 201 კმ/სთ.

სპორტული დამსახურებისთვის დედოფალმა ელისაბედმა გალიკას ბრიტანეთის იმპერიის საპატიო წევრის ტიტული უბოძა.

თხილამურების პარალელურად, იგი ავტორბოლითაც იყო გატაცებული. 70-იან წლებში მშობლიურ საფორმულო ჩემპიონატში მონაწილეობდა და „შელსპორტ G8“-ის სერიაში საკუთარი გუნდიც კი გამოიყვანა.

მხოლოდ ამდენი საქმის მოლევის შემდეგ, 30 წლისამ გაიხედა „სამეფო რბოლებისკენ“. დივინა 13 აგვისტოსაა დაბადებული და, ეტყობა, ამიტომაც დაჯირითობდა სადღეისოდ ყველა პილოტისგან ათვალწუნებული 13-ნომრიანი მანქანით.

სამწუხაროდ, ნიჭიერ ლედის ამ ურთულეს ასპარეზზე ხელი მოეცარა — სამ ეტაპზე სცადა ძალა, მაგრამ საკვალიფიკაციო ზღუდე ერთხელაც ვერ დაძლია. 1976 წელს სილვერსტოუნში „სარტის-კოსუორტით“ 28-ე საპოულე დრო აჩვენა და ორი პოზიცია დააკლდა მიზნამდე — რბოლაში მონაწილეობის უფლებას 26 პილოტი იღებდა.

ბრიტანელმა ორი წლის შემდეგ კიდევ ორ რბოლაში მოსინჯა თავისი შესაძლებლობები, თუმც ამჯერადაც წარუმატებლად.

ენერგიული ქალბატონი დიდხანს გამოდიოდა შეჯიბრებებში. 1990 წელს სატვირთო მანქანებით თავის კლასში ბრიტანეთის ჩემპიონი გახდა, 2000 წელს კი, 54(!) წლისამ მონაწილეობა მიიღო ამერიკის WGGTS სერიის ქალთა პირველობაში და ორი ეტაპის მოგებაც შეძლო შარლოტსა და ლას ვეგასში.

## დეზირე უილსონი (ს. აფრიკა)
1980 წელი



ბევრი სპეციალისტის აზრით, მეფორმულე ქალთაგან ყველაზე ნიჭიერი იყო აფრიკის ძირში, იოჰანესბურგის შემოგარენში 55 წლის წინ დაბადებული დეზირე უილსონი.

სპორტული კარიერა 1973 წელს დაიწყო და უკვე მეორე სეზონში სამხრეთ აფრიკის „ფორმულა VEE“ სერის ვიცეჩემპიონობას მიაღწია, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ „ფორმულა ფორდის“ ჩემპიონობა მოიპოვა.

დეზირემ მერე საფრანგეთში გააგრძელა ავტოსაქმიანობა. 1976-77 წლებში რალისა და სამთო რბოლებში მონაწილეობდა, მომდევნო სამ სეზონში კი — ბრიტანულ „აურორა F1“-ის პირველობაში. 1980 წელს ბრენდს ჰეჩში ამ სერიის ეტაპზე გამარჯვებით უილსონი გახდა პირველი და ერთადერთი ქალი-პილოტი, ვისაც საპირველფორმულო დონის რბოლა მოუგია. მერე კი „ნამდვილ“ ფორმულასთან შეჭიდებაც სცადა, თუმც წარუმატებლად. ერთადერთი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობდა, იყო იმავე წელს დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი, მაგრამ დეზირეს „უილიამსი“ კვალიფიკაციას ვერ გასცდა — 30 პრეტენდენტს შორის მხოლოდ 27-ე შედეგი ჰქონდა.

აღსანიშნავია აგრეთვე ამ [illegible] მრბოლის ორი გამარჯვება [illegible] პროტოტიპის ძარიან მანქანით მსოფლიოს ჩემპიონატის [illegible] ექვსსაათიან მარათონულ ეტაპებზე მონცასა და სილვერსტოუნში.

ათი წლის წინ კარიერის დასრულების შემდეგ, დეზირე უილსონს კარგა ხანს WGGTS სარბოლო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის დირექტორის პოსტი ეკავა, ახლა კი, პერიოდულად ისტორიული ავტოების რბოლებშიც მონაწილეობს.

## ჯოვანა ამატი (იტალია)
1992 წელი



1962 წლის 20 ივლისს დაბადებული ჯოვანა მეფორმულე დაცთა ხუთეულიდან ყველაზე ახალგაზრდაა. მამამისი მდიდარი რომაელი ბიზნესმენი იყო, ასე რომ, გოგონას ბავშვობიდან ჰქონდა ყველაფერი, რასაც კი მოისურვებდა. თავიდანვე გამოამჟღავნა სისწრაფისა და მოტორებისადმი ბიჭური სიყვარული და 15 წლისა ჩინებულად დაქროლებდა მოტოციკლს, მოგვიანებით კი უკვე ეროვნული ავტო „ფორმულა სამში“ გამარჯვებებიც მოიპოვა.

მამის ფულმა ჯოვანას წინსვლის საშუალება მისცა — ლიბით მეორე, ფორმულა 3000-ის გუნდში ადგილი იყიდა. მართალია, „მომავლის ფორმულაში“ შედეგები ისე მაღალი არ ჰქონია, მაგრამ ბევრი სასარგებლო ნაცნობი გაიჩინა, თანაც არა მხოლოდ საქმიანი. გრძელთმიანმა, მიმზიდველმა ქალიშვილმა თვით ფორმულის პირველ მუსუს ფლავიო ბრიატორესთან გააბა რომანი. თუმც იქნებ პირიქითაც იყო.

გარკვეულწილად, სწორედ ფლავიოს პროტექციითა და მეცენატობით მიუჯდა ჯოვანა საპირველფორმულო ბოლიდის საჭეს ჯერ „ბენეტონში“ ტესტებზე, ხოლო 30-წრიანი პრაქტიკის შემდეგ „ბრებემის“ ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა. მაგრამ უხეირო „ჯადოს“ ძრავიანი ჯაგლაგი მანქანით ვერაფერს გახდა — საპოულედ სამჯერ გაჯიბრების მიუხედავად, რბოლის სტარტამდე ერთხელაც ვერ მიაღწია. 30 წლის ჯოვანა თავის სადებიუტო ეტაპზე სამხრეთ აფრიკაში კვალიფიკაციის მომგებ ნაიჯელ მენსელს ცხრა წამით ჩამორჩა და ბოლო, 30-ე პოზიციაზე დარჩა. შემდეგ მექსიკაშიც და ბრაზილიაშიც ზუსტად იგივე განმეორდა.

ეს ფიასკო, უმთავრესად, ბოლიდის ბრალი რომ იყო, გუნდის მეორე წევრის, ბელგიელ ერიკ ვან დე პულის „შედეგიანობაც“ მოწმობს. მომაკვდავი „ბრებემით“ მან ათი ეტაპიდან მხოლოდ ერთხელ შეძლო საკვალიფიკაციო ზღუდის დაძლევა. ასეთი კატასტროფის შემდეგ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ჯეკ ბრებემის მიერ შექმნილმა და ექვსი პილოტ-გუნდური ტიტულის მომპოვებელმა საჯინიბომ საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

**გია ახალაძე**

# გოგშელიძემ გაცალოვს ხასიათი გაუცვალა

## ოქროს ჰიმნი, დროშა და იმედი იცის



**გოგშელიძისთვის** ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია, ერთი რომ, ლიცენზია აიღო და ახლა ოლიმპიადისთვის მზადებას მშვიდად გააგრძელებს და მეორე: საჩემპიონო გზაზე ძველი და ძნელი მეტოქე ჰაჯიმურად გაცალოვი დაჯაბნა და საოლიმპიადოდ ფსიქოლოგიური განწყობა საგრძნობლად გაიუმჯობესა. ზემოთ გოგშელიძის ორ შეხვედრაზე გითხარით, თუმცა იოლი გზა არც მანამდე ჰქონია: საწყის დაპირისპირებაში ბელარუს რუსლან შეხოვს 1:0, 1:0 გამოუყვანა წირვა და მერე მოლდოველ ნიკოლაი სეხანს დააყრევინა ფარ-ხმალი — 4:0, 1:0.

გუშინვე გიორგი გოგშელიძეს ფინეთში დავუკავშირდით...

— რთულ ბადეში მოვხვდი. ყველა მეტოქე სერიოზული შემხვდა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გარჯა დამიფასდა და ჩემპიონი გავხდი. ფინალში გამარჯვებაზე არანაკლებ გაცალოვის დამარცხება გამიხარდა. ბოლო დროს ყოველთვის მცირედით მიგებდა. ახლა კი ფსიქოლოგიური უპირატესობაც ჩემს მხარეს იქნება და ჩვენი მომდევნო დაპირისპირებისას მას უფრო გაუჭირდება. გადამწყვეტ შეხვედრაში კი ვგრძნობდი, მოწინააღმდეგე უძალოდ იყო და ინიციატივის ხელიდან გაშვება არც მიფიქრია. აქცენტი დგომში ჭიდაობაზე გავაკეთე.

მიხარია რომ გავიმარჯვე და ახლა ოლიმპიადისთვის მშვიდ ვითარებაში მომზადების საშუალება მომეცემა — გვითხრა დაღლილმა და გახარებულმა ევროპის ჩემპიონმა.

60 კგ-ში მიხეილ ქურდიანი ჭიდაობდა. თურქ ტეფიკ ოდაბაშთან პირველი პერიოდი უშანსოდ, 0:6 წააგო, თუმც შემდეგ მობილიზება მოახერხა და 1:0, 5:1 იმარჯვა. მომდევნო მეტოქე მომავალი ჩემპიონი, უკრაინელი ვასილი ფედეროშინი იყო. ჩვენმა ფალავანმა უდაძაბულეს ჭიდილში ერთნაირი ანგარიშით, 0:1, 0:1 წააგო. უკრაინელმა მოგებები განაგრძო და ქურდიანს ბრძოლის გაგრძელების საშუალება მისცა. აქ პირველ მეტოქეს, ფინელ იარმო ჰიიტიაინენს იოლად აჯობა — 4:0, 6:0 და ბრინჯაოს ფინალში გასასვლელად რუს ადამ ბატიროვს გადაეყარა. სამწუხაროდ, გამოცდილმა რუსმა დამაჯერებლად გაიმარჯვა — 2:0, 4:0.

გელა სალირაშვილმა (74 კგ) პირველ წრეში დაისვენა. მერვედფინალში იტალიელი სალვატორე რიენას დამარცხება არ გასჭირვებია — 3:1, 1:0, თუმც მომდევნო წრეში უკვე პოლონელ კრისტიან ბრზოზოვსკისთან დასანანი მარცხი იწვნია — 0:1, 1:1. მეორე პერიოდში გამარჯვება პოლონელს მხოლოდ ბოლო ქულის აღების პრინციპით მიენიჭა. თუმცა სალირაშვილს ლიცენზია უკვე აქვს და ეს ცოტა შევებისმომგვრელია.

2 ოქრო და 2 ვერცხლი — ასეთია თავისუფლების მონაგარი ფინეთის ევროპის ჩემპიონატზე, რაც დიდი წარმატებაა: ქართველებმა გუნდურ ჩათვლაში მე-2 ადგილი აიღეს რუსების შემდეგ.

ახლა ჯერი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებზეა, ისინი ხალიჩაზე 5-6 აპრილს გავლენ, მანამდე კი ორი დღე ქალებს დაეთმობათ.

**ლექსო მაისურაძე**

60 კგ

1 ვასილი ფედორიშინი (უკრაინა)
2 დიდიე პაისი (საფრანგეთი)
3 ანატოლი გუიდა (ბულგარეთი)
3 გეორგ ვოლერი (უნგრეთი)

74 კგ

1 მაჰაჩ მურთაზალიევი (რუსეთი)
2 მურად გაიდაროვი (ბელარუსი)
3 ჩამსულვარა ჩამსულვარიევი (აზერბაიჯანი)
3 ემზარის ბენტინიდისი (საბერძნეთი)

96 კგ

1 გიორგი გოგშელიძე (საქართველო)
2 გიორგი ტივილოვი (უკრაინა)
3 ჰაჯიმურატ გაცალოვი (რუსეთი)
3 ჰაკან ვოცი (თურქეთი)



# მარტის ოვეჩკინისაა

**ალექსანდრ ოვეჩკინს** ზედიზედ მეორეჯერ ასახელებენ თვის საუკეთესო მოთამაშედ. „ვაშინგტონის" სუპერ-ვარსკვლავი მართლაც დიდებულ სეზონს ატარებს და ინდივიდუალური მონაცემებით რეგულარული ჩემპიონატის უდავოდ საუკეთესო ჰოკეისტია, თუმც რუსი თავდამსხმელი მხოლოდ პირად მიღწევებს არ ჯერდება და დედაქალაქურ გუნდს ფლეი ოფისკენ ფაქტობრივად მარტო მიათრევს. „კეპიტალზს" სანუკვარ ოცნებას მხოლოდ ორი ქულა აშორებს და თუ გუნდმა სეზონის ბოლოს კვირა არ ჩააგდო, წესით სტენლის თასისთვის ბრძოლა უნდა გააგრძელოს.

ახლა კი უშუალოდ ოვეჩკინის სამარტო მაჩვენებლებზე გადავიდეთ, რაც მართლაც შთამბეჭდავია — რუსმა 26 ქულა (14+12) მოიხვეჭა და ამასთანავე რამდენიმე პირადი რეკორდიც დაამყარა. უპირველესად ოვეჩკინმა კარიერაში მეორედ უწია 50 შაიბიან ნიშნულს (პირველად სადებიუტო სეზონში გააკეთა), მაგრამ მხოლოდ ამაზე არ შეჩერებულა და 60 შაიბიანი ბარიერიც გადალახა. ბოლოს ასეთი რამ ნჰლ-ში 1995-96 წლების სეზონში მოხდა, როცა „პიტსბურგის" სუპერ-დუეტმა, მარიო ლემიესა და იარომირ იაგრის შემადგენლობით, შეძლო 60-ზე მეტი გოლის შეგდება.

ოვეჩკინი თითქმის ყველა ინდივიდუალურ მაჩვენებლებში ლიდერობს. რუსი პირველია სნაიპერთა (62 გოლით) და ბომბარდირთა (109 ქულა) შორის, ყველაზე მეტჯერ გაიტანა უმრავლესობაში (21 შაიბა) და ყველაზე მეტი გამარჯვების მომტანი გოლიც (10) მან შეაგდო. ასე რომ, „ვაშინგტონი" ფლეი ოფში თუ გავიდა, ოვეჩკინს უმთავრესი ფავორიტი ყველაზე ღირებული მოთამაშის ტიტულის ფაქტობრივად განაღდებული აქვს.

მარტის მეორე ვარსკვლავობა „პიტსბურგის" კარის დარაჯ მარკ-ანდრე ფლერის ერგო, რომელიც ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ დიდებულად გამოიყურება. არადა, სანამ ფეხს იტკენდა, ფლერის აკრიტიკებდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა. თუმც მარტი ახალგაზრდა კიპერმა დიდებულად ჩაატარა — მან 11 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და აქედან 9-ში იმარჯვა. ფლერი გასულ თვეში საშუალოდ 1,44 შაიბს უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 95,1 პროცენტს იგერიებდა.

ახალმიწურული თვის მესამე ვარსკვლავი კი მართლაც სიურპრიზად იქცა — ეს პატივი „დეტროიტელ" იუჰან ფრანცენს ერგო. ეს შვედი ძირითადად დაცვაში კარგი თამაშითაა ცნობილი და აქამდე განსაკუთრებული შეტევითი პოტენციალით არასოდეს გამოირჩეოდა. მაგრამ ფრანცენმა მარტში თავი გამოიჩინა და ჩატარებული 13 შეხვედრაში იმდენივე ქულა დააგროვა, რამდენიც მანამდე მთელი სეზონის განმავლობაში მოიხვეჭა. გასული თვის შვედმა 18 ქულას (14+4) მოუყარა თავი, სულ კი სეზონში მის ანგარიშზე 36 ქულაა (26+10). გარდა ამისა, ფრანცენმა „დეტროიტის" რეკორდი მოხსნა ერთი თვის განმავლობაში გატანილი გამარჯვების მომტანი გოლების მხრივ — შვედმა ექვსჯერ მოაგებინა თავის გუნდს. აქამდე ამ რეკორდს „წითელფრთიანთა" ლეგენდა გორდი ჰოუ და მისივე ახლანდელი ლიდერი ჰენრიკ ზეტერბერგი იყოფდნენ.

**კახა ლომაშვილი**



ალექსანდრ ოვეჩკინმა აპრილიც გოლით დაიწყო — „კაროლინას" გაუტანა

## რეგულარული ჩემპიონატი

1 აპრილი

**ატლანტა 2:3 ფლორიდა**
*0:1 1:0 1:2*
0:1 იოკინენი (5), 1:1 ლავალი (34), 1:2 ბაუმისტერი (42), 1:3 ბუტი (42), 2:3 რეკი (57)

**ვაშინგტონი 4:1 კაროლინა**
*2:0 1:1 1:0*
1:0 კუკი (15), 2:0 ლეიჩი (20), 2:1 უოკერი (23), 3:1 სიომინი (35), 4:1 ოვეჩკინი (57)

**აილენდერსი 1:2 ნიუ ჯერსი**
*1:0 0:1 0:0 0:1 (ოვერტაიმში)*
1:0 ვასიჩეკი (20), 1:1 ელიაში (26), 1:2 პარიზე (61)

**სენტ ლუისი 3:4 ნეშვილი**
*3:0 0:1 0:2 0:1 (ოვერტაიმში)*
1:0 მაკდონალდი (2), 2:0 მაიერსი (5), 3:0 პერონი (7), 3:1 ბოჩენსკი (27), 3:2 ტუტუ (42), 3:3 ფიდლერი (54), 3:4 პევერლი (62)

**ტორონტო 3:4 ბუფალო**
*2:0 0:1 1:2 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 ტაკერი (1), 2:0 კაბერლე (20), 2:1 როი (25), 2:2 ბერნიე (50), 3:2 სტინი (53), 3:3 ვანეკი (55)

**ოტავა 0:3 მონრეალი**
*0:1 0:1 0:1*
0:1 კოვალიოვი (10), 0:2 დენდენო (26), 0:3 ა. კოსტიცინი (52)

**ედმონტონი 2:3 კალგარი**
*1:1 0:1 1:1*
1:0 პლენკროსი (11), 1:1 ოკოინი (15), 1:2 ტანგეი (40), 2:2 პლენკროსი (54), 2:3 ნოლანი (57)

**ვანკუვერი 2:4 კოლორადო**
*1:0 1:3 0:1*
1:0 მიტჩელი (9), 2:0 კესლერი (26), 1:2 ლაილსი (30), 2:2 ჰეიდუკი (34), 2:3 ვოლსკი (35), 2:4 ფორსბერგი (45)

**სან ხოსე 5:2 ლოს ანჯელესი**
*1:0 2:2 2:0*
1:0 გრირი (20), 1:1 ოსალივანი (21), 2:1 მარლო (23), 2:2 ივანანსი (27), 3:2 მიხალეკი (35), 4:2 ბრაუნი (57), 5:2 კემბელი (59)



ქვარციტი QUARTZITE

# ჩილეში ელიტისკენ გავიწევთ

**15 აპრილიდან** ჩილეში 20-წლამდელთა მსოფლიოს თასი გაიმართება და მასში საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. მსოფლიოს ჩემპიონატი დაყოფილია ორ დივიზიონად. „ლელოები" B დივიზიონში გამოდიან და შეჯიბრების მოგების შემთხვევაში მომავალ წელს ელიტარულ A დივიზიონში გადაინაცვლებენ. საქართველოს ნაკრებს 2005 წელს ევროპის პირველობაც მოუგია. ამ ასაკში ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება და დიდი შანსია, რომ ჩილეშიც წარმატებას მივაღწიოთ. B დივიზიონში გამარჯვებულის გამოსავლენად ორ ქვეჯგუფში განთესილი რვა გუნდი იბრძოლებს. პირველ ჯგუფს ჩილეს, რუმინეთის, ნამიბიის და კუკის კუნძულების ნაკრებები შეადგენენ, ხოლო მეორეში საქართველომ, ურუგვაიმ და იამაიკამ მოიყარეს თავი.

გუნდებს მოგებისთვის 4 ქულა დაერიცხებათ, ფრის შემთხვევაში 2 ქულას მიიღებენ. 4 ლელოს გამტანი და 7-ზე ნაკლები ქულით წამგები გუნდებიც თითოთითო ბონუსქულას ჩაიწერენ. პლეი ოფი კი 27 აპრილიდან დაიწყება.

ჩვენმა 20-წლამდელებმა ამ ტურნირისთვის მზადება თებერვლიდან დაიწყეს. საქართველოში შეკრებამ 7 მარტამდე გასტანა. სულ გამოიცადა 55 მორაგბე. მათგან შეირჩა 31 კაცი, რომელნიც პირველ აპრილს საფრანგეთში, ქალაქ ტულუზაში გაემგზავრნენ მომზადების კიდევ ერთი ეტაპის გასავლელად. ტულუზიდან დაბრუნებული ახალგაზრდა „ლელოები" საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებთან ტესტ-მატჩებს გამართავენ, რის შემდეგაც 31 კაციდან საბოლოო შემადგენლობაში 26 მორაგბე მოხვდება.

11 აპრილს კი გუნდი უკვე ჩილეში გაემგზავრება. ნაკრებში გამოძახებულნი არიან ლეგიონერებიც.

**ზურაბ მიგრიაული**

*საქართველოს 20-წლამდელთა გაფართოებული შემადგენლობა: ვასილი კაკოვინი (უნივერსიტეტი), გიორგი ტორაძე (ქუთაისი), გიორგი ცირეკიძე (არმაზი), ბექა სხულუხია (ქუთაისი), ირაკლი მირცხულავა (დინამო), რევაზ ბასილაშვილი (რუსთავი), საბა ქართველიშვილი (არმაზი), გიორგი ჯაშიტაშვილი (ყოჩები), ბექა ნიკოლაიშვილი (ყოჩები), ალექსი იორდანაშვილი (ლელო), არჩილ კობაური (მასი, საფრანგეთ), დავით ჩიჩუა (აჟენი, საფრანგეთი), ვლადიმერ ჩოჩიშვილი (ყოჩები), ვლადიმერ გუნიავა (უნივერსიტეტი), ვახტანგ მძინარიშვილი (ლელო), ირაკლი რევიშვილი (ქუთაისი), ვიტო კოლელიშვილი (ლელო), ლევან გოგია (უნივერსიტეტი), გიორგი ჭინჭარაული (ლელო), გიორგი როხვაძე (ქუთაისი), ბექა წიკლაური (უნივერსიტეტი), ლაშა ხმალაძე (ლელო), ალექსი ტუჩაშვილი (უნივერსიტეტი), ჯაბა კიკვიძე (უგუნდო), რატი ნუცუბიძე (უნივერსიტეტი), დავით გრძელიშვილი (ყოჩები), გიგა კორკელია (ლელო), ალექსანდრე ინაშვილი (ყოჩები), მიხეილ წიკლაური (რუსთავი), გოდერძი ჯოგლიძე (ლელო), ვახტანგ კავთიძე (უნივერსიტეტი)*

*მწვრთნელები: ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ლევან მაისაშვილი*

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008

## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. ტუხელ


ემანუელ ადებაიორის გოლი

# როგორია?! შუქრუზე ვულკანმა ამოხეთქა

**არსენალი 1:1 ლივერპული**

1:0 ადებაიორი (23), 1:1 კუიტი (26)
**არსენალი:** ალმუნია, კ. ტურე, გალასი, სენდეროსი, კლიში, ებუე (ბენდტნერი 67), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ადებაიორი, ვან პერსი (უოლკოტი 46)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ჰიპია, შკრტელი, ფ. აურელიო, მასკერანო, ხაბი ალონსო (ლეივა 77), ჯერარდი, ბაბელი (ბენაიუნი 58), კუიტი, ფ. ტორესი (ვორონინი 86)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მსაჯი: პეტერ ვინკი (ჰოლანდია)
60 355 მაყურებელი

**ფენერბაჰჩე 2:1 ჩელსი**

0:1 დეივიდი (13ს.კ.), 1:1 კაზიმ-რიჩარდსი (65), 2:1 დეივიდი (81)
**ფენერბაჰჩე:** ვოლკანი, ონდერი ლუგანო, ედუ, ვედერსონი, მალდონადო, მეჰმეთი, უღური (კაზიმ-რიჩარდსი 54), ალექსი, დეივიდი, კეჟმანი (სემიჰი 72)
მწვრთნელი: ზიკო
**ჩელსი:** კუდიჩინი, ესიენი, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, მაკელელე, ბალაკი, ლამპარდი (მიკელი 76), ჯ. კოული (ანელკა 86), მალუდა, დროგბა
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
50 509 მაყურებელი

**ლივერპულელი** დირკ კუიტის გოლმა, საპასუხო მატჩის წინ, რომელიც ერთ კვირაში „ენფილდზე" გაიმართება, წყვილში ფავორიტად ერთი შეხედვით რაფაელ ბენიტესის გუნდი აქცია, თუმც მოდით, ჯერ მაინც ნუ ავჩქარდებით და „წითლებს" ნახევარფინალისტობას ნუ მივულოცავთ, „არსენალი" ნაღდად არ არის ის გუნდი, ყურები, მიუხედავად მისთვის არასასურველი ანგარიშისა, აქედანვე ჩამოყაროს.

„არსენალს" ემანუელ ადებაიორის გოლამდეც არაერთხელ შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმც მეთიუ ფლამინის სიზუსტემ უმტყუნა, ხოლო სესკ ფაბრეგასის გასროლილი პეპე რეინამ კუთხურზე გადააგდო. სწორედ ამ კუთხურის გათამაშებას მოჰყვა ლონდონელთა გოლიც: რობინ ვან პერსის ჩაწოდებულს ადებაიორმა უძლავრესი თავური შეაგება და რეინაც უსაქმოდ დატოვა.

და, თქვენ გგონიათ, გაშვებულმა გოლმა „ლივერპული" დააფრთხო? პასუხი: ზუსტად სამ წუთში „ემირატს სტედიუმის" ტაბლოზე 1:1 ენთო, ეს კი „წითლების" დაუღალავი კაპიტნის, სტივენ ჯერარდის დამსახურება გახლდათ, მეტოქის საჯარიმოში გრიგალივით შევარდნილმა „სტივი ჯიმ", მცველები მიმოფანტა, ბოლოს კოლო ტურეს აუარა გვერდი და დაბალი უპასა დირკ კუიტს, ჰოლანდიელმაც მეკარის საჯარიმოში დასწრებაზე ითამაშა, ბურთს ჭვინტი ვარდნაში ჰკრა და...

მეორე ტაიმში, იგრძნო რა საფრთხე, არსენ ვენგერმა ერთი მეორის მიყოლებით შეუშვა ჯერ თეო უოლკოტი და მერე ნიკლას ბენდტნერი; „არსენალი" უკვე ოთხი ფორვარდით უტევდა, მაგრამ „ლივერპულის" მცველები და მეკარე, სანაქებოდ ირჯებოდნენ.

საბოლოოდ 1:1 და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მთავარი ამბები 8 აპრილს იქნება „ენფილდზე".

აი, სტამბოლის „შუქრუ სარაჩოღლუ" კი გუშინ ვულკანს ჰგავდა, ვულკანს, რომელმაც ჯერ 81-ე წუთზე ამოხეთქა, როცა „ფენერის" ბრაზილიელმა დეივიდმა გამარჯვების გოლი შეაგდო და მეორედ მატჩის არბიტრმა კლაუს-ბო ლარსენმა საფინალო სასტვენი რომ ჩაბერა. როგორია?! „ფენერბაჰჩემ" „ჩელსის" ფაქტობრივად, წაგებული თამაში შემოუტრიალა და ლონდონში საპასუხო მატჩისთვისაც გაცილებით კარგ ხასიათზე ჩავა.

არადა, მატჩის გმირი დეივიდი, სულ თავისუფლად შეიძლებოდა ანტიგმირი გამხდარიყო, რაკი ბრაზილიელს იქამდე, მე 13-ე წუთზე, საკუთარ კარში ჩაეჭრა ბურთი და „ჩელსიც" მთელი პირველი ტაიმი დომინირებდა, მაგრამ დაიწყო მეორე და აშკარად გამოჩნდა, რომ ზიკომ კოლეგა ავრაამ გრანტს ტაქტიკური დუელი მოუგო — შეცვლაზე შესულმა კაზიმ-რიჩარდსმა ხომ გაათანაბრა და შემდეგ ნახევარდაცვიდან თავდასხმაში აწეულმა დეივიდმა ვულკანს ამოახეთქინა.

**გიორგი გუგაძიძე**


სტამბოლელი დეივიდი და ლონდონელი ეშლი კოული ბურთისთვის ბრძოლაში

## გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ბურგჰაუზენი 1:0 როიტლინგენი

## ბელგია

II კლასი. XXXI ტური
ოუდ ევერლე 3:3 დაინცე
გეელი 1:3 სენტ ჟილი
ვირტონი 1:1 ეუპენი
ოსტენდე 3:4 ტინენი
ნამური 0:4 კონტრაიკი
ლიერსი 0:2 ტუბეკე
ოლიმპიკი 2:1 ლომელი
ვაასლანდი 1:0 ბევერენი

## დანია

სუპერლიგა. გადადებული მატჩი
ლიუნგბიუ 0:3 ოდენსე
I დივიზიონი. გადადებული მატჩები
აკადემისკი 3:0 სილკებორგი
ჰერფიოლგე 2:0 ნესტვედი

## შვეიცარია

სუპერლიგა. XXIX ტური
გრასჰოპერი 1:1 ბაზელი
ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები
ლოზანა 0:1 ლოკარნო
ივერდონი 0:1 სერვეტი

## ინგლისი

ჩემპიონატი. გადადებული მატჩები
კარდიფი 0:0 ვესტ ბრომვიჩი
უენსდი 1:1 ქოვენთრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრისტოლი | 41 | 19 | 13 | 9 | 49:47 | 70 |
| სტოკი | 41 | 18 | 15 | 8 | 63:51 | 69 |
| ჰალი | 41 | 19 | 11 | 11 | 59:41 | 68 |
| ვესტ ბრომვიჩი | 40 | 19 | 10 | 11 | 78:51 | 67 |
| უოტფორდი | 40 | 17 | 14 | 9 | 58:47 | 65 |
| ვულვზი | 40 | 16 | 13 | 11 | 47:45 | 61 |
| იფსვიჩი | 40 | 16 | 12 | 12 | 58:49 | 60 |
| პლიმუთი | 41 | 16 | 11 | 14 | 53:44 | 59 |
| კრ. პალასი | 41 | 14 | 17 | 10 | 46:39 | 59 |
| ბარნლი | 41 | 15 | 13 | 13 | 55:55 | 58 |
| ჩარლტონი | 41 | 15 | 12 | 14 | 56:51 | 57 |
| კარდიფი | 40 | 14 | 14 | 12 | 47:44 | 56 |
| შეფილდი | 40 | 13 | 14 | 13 | 43:44 | 53 |
| ქუინზ პარკი | 41 | 13 | 14 | 14 | 56:58 | 53 |
| პრესტონი | 41 | 15 | 8 | 18 | 43:45 | 53 |
| ბლექპული | 41 | 11 | 17 | 13 | 54:53 | 50 |
| ნორვიჩი | 41 | 13 | 10 | 18 | 41:51 | 49 |
| ქოვენთრი | 41 | 13 | 10 | 18 | 43:54 | 49 |
| ლესტერი | 41 | 11 | 14 | 16 | 39:38 | 47 |
| უენსდი | 40 | 12 | 10 | 18 | 42:47 | 46 |
| ბარნსლი | 40 | 11 | 13 | 16 | 43:57 | 46 |
| საუთჰემპტონი | 41 | 11 | 13 | 17 | 49:67 | 46 |
| სკანთორპი | 41 | 9 | 11 | 21 | 38:61 | 38 |
| კოლჩესტერი | 41 | 6 | 15 | 20 | 55:76 | 33 |

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXI ტური
პსჟ 1:0 სტრასბური

## საბერძნეთი

თასის ნახევარფინალი. I მატჩები
თრასივულოსი 2:3 ოლიმპიაკოსი
არისი 1:0 ატრომიტოსი

## პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი. I მატჩები
ლეგია 1:0 გდანსკი
ზაგლებე 5:0 პოლონია

## სლოვენია

I ლიგა. გადადებული მატჩი
პუბლიკუმი 0:2 კოპერი

## იაპონია

ჯეი ლიგა. IV ტური
ოიტა 1:2 გამბა
ომია 1:2 ნაგოია
ნიიგატა 0:2 კაშიმა
საპორო 0:2 კავაზაკი
იჩიჰარა 1:1 კობე
კიოტო 0:1 კაშივა
შიმიცუ 1:2 ურავა
ვერდი 1:2 ივატა
იოკოჰამა 3:0 ტოკიო

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
რეიმსი 1:2 ბასტია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე ავრი | 30 | 19 | 8 | 3 | 54:26 | 65 |
| ნანტი | 30 | 18 | 8 | 4 | 47:24 | 62 |
| ტრუა | 30 | 15 | 8 | 7 | 40:29 | 53 |
| გრენობლი | 30 | 13 | 9 | 8 | 36:27 | 48 |
| ბასტია | 30 | 13 | 7 | 10 | 39:31 | 46 |
| კლერმონი | 30 | 11 | 12 | 7 | 41:33 | 45 |
| სედანი | 30 | 11 | 11 | 8 | 38:34 | 44 |
| მონპელიე | 30 | 11 | 10 | 9 | 31:24 | 43 |
| ანჟერი | 30 | 11 | 10 | 9 | 28:27 | 43 |
| ბრესტი | 30 | 11 | 9 | 10 | 30:34 | 42 |
| გენგამი | 30 | 10 | 10 | 10 | 29:28 | 40 |
| აიაჩო | 30 | 9 | 10 | 11 | 28:36 | 37 |
| შატორუ | 30 | 9 | 9 | 12 | 28:32 | 36 |
| რეიმსი | 30 | 9 | 7 | 14 | 34:44 | 34 |
| ამიენი | 30 | 8 | 9 | 13 | 36:41 | 33 |
| ბულონი | 30 | 9 | 6 | 15 | 32:44 | 33 |
| დიჟონი | 30 | 7 | 12 | 11 | 26:40 | 33 |
| ნიორი | 30 | 8 | 6 | 16 | 30:42 | 30 |
| ლიბურნი | 30 | 6 | 9 | 15 | 34:46 | 27 |
| გენიონი | 30 | 2 | 10 | 18 | 28:47 | 16 |

## ლიბერტადორესის თასი 2008

I ჯგუფი. V ტური

**რეალ პოტოსი 3:1 კარაკასი**

1:0 კანდია (4), 1:1 კასტელინი (6), 2:1 სუარესი (26), 3:1 პინტოსი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო (ბრაზილია) | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 |
| სან ლორენსო (არგენტინა) | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| კარაკასი (ვენესუელა) | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| რეალ პოტოსი (ბოლივია) | 5 | 1 | 0 | 4 | 6:10 | 3 |

V ჯგუფი. V ტური

**უნივერსიდად კათოლიკა 1:0 დეპორტივო სან მარტინი**

1:0 გუტიერესი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ამერიკა (მექსიკა) | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| დეპორტივო სან მარტინი (პერუ) | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |

VI ჯგუფი. IV ტური

**სანტოსი 7:0 სან ხოსე**

1:0 დომინგოსი (18), 2:0, 3:0, 4:0 მოლინა (23, 33, 64), 5:0 პერეირა (80), 6:0 კინონესი (82), 7:0 მოლინა (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კუკუტა დეპორტივო (კოლუმბია) | 4 | 2 | 2 | 0 | 2:0 | 8 |
| სანტოსი (ბრაზილია) | 4 | 2 | 1 | 1 | 9:2 | 7 |
| სან ხოსე (ბოლივია) | 4 | 1 | 1 | 2 | 2:10 | 4 |
| გვადალახარა (მექსიკა) | 4 | 1 | 0 | 3 | 2:3 | 3 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00